

# ანგარიში

---

## პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის აღსრულების მონიტორინგი საქართველოში

**მომზადებულია**

საქართველოს პოლიტიკის  
ინსტიტუტის (GIP) მიერ



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

---

მაისი 2021

**საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)** არის თბილისში მოქმედი არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაცია ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას სამოქალაქო სექტორის მშენებლობაში და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნით, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს, რათა გამოირჩეოდეს რელევანტური და შედეგიანი კვლევებით, საზოგადოებასთან ფართო წვდომითა და ინოვაციებისადმი განსაკუთრებული სწრაფვით პოლიტიკის დისკურსსა და პოლიტიკურ დისკუსიებში.

წარმოდგენილი დოკუმენტი შეიქმნა შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის მხოლოდ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის პოზიციას.

© Georgian Institute of Politics, 2021  
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia  
Tel: +995 599 99 02 12  
Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)  
For more information, please visit  
[www.gip.ge](http://www.gip.ge)

*Photo by [mostafa meraji](#) on [Unsplash](#)*



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

# სარჩევი

|    |  |
|----|--|
| 4  | <b>მოკლე შინაარსი</b>  |
| 5  | <b>ძირითადი მიგნებები</b>  |
| 8  | <b>შესავალი</b>  |
| 10 | <b>მეთოდოლოგია</b>   |
| 14 | <b>2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური კონტექსტი და წინასაარჩევნო გარემო</b>                        |
| 17 | <b>ქცევის კოდექსის აღსრულება პოლიტიკური პარტიების მიერ</b>   |
| 18 | რამდენად იცნობენ პარტიის ლიდერები, აქტივისტები და მხარდამჭერები ქცევის კოდექსს?                              |
| 20 | ქცევის კოდექსი პარტიის სტრუქტურაში   |
| 21 | როგორ ხედავენ პარტიები გამოსავალს?   |
| 22 | <b>პოლიტიკური პარტიების კამპანიის საგნობრიობა სატელევიზიო არხების მიხედვით</b>                               |
| 23 | 10 ძირითადი პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლები   |
| 25 | რამდენად საგნობრივი, პროგრამაზე და საკითხებზე ორიენტირებული იყო პოლიტიკური პარტიების სატელევიზიო გამოსვლები? |
| 32 | ძირითადი მიგნებები და მოკვლევის შეზღუდვები   |
| 34 | <b>ქცევის კოდექსის დარღვევები: მედიამონიტორინგის შედეგები</b>  |
| 35 | ძირითადი მიგნებები   |
| 36 | დარღვევების გადანაწილება პოლიტიკური პარტიების მიხედვით   |
| 39 | დარღვევების გადანაწილება ქცევის კოდექსის მუხლების მიხედვით   |
| 43 | დარღვევების გადანაწილება გენდერისა და პარტიული პოზიციების მიხედვით   |
| 44 | <b>ქცევის კოდექსის დარღვევები: ჩართული მხარეების შეფასება</b>  |
| 49 | <b>ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასება</b>  |
| 54 | <b>დასკვნა და რეკომენდაციები</b>   |
| 56 | რეკომენდაციები   |
| 56 | პოლიტიკური პარტიებისთვის   |
| 56 | ცესკოსთვის   |
| 57 | საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორებისთვის  |
| 58 | სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებებისთვის  |
| 60 | <b>გამოყენებული ლიტერატურა</b>   |
| 64 | <b>დანართები</b>   |

# ცხრილები & გრაფები

## ცხრილების ჩამონათვალი

- 24 ცხრილი 1: გამოსვლების ხანგრძლივობა პარტიების მიხედვით
- 25 ცხრილი 2: გამოსვლების საერთო ხანგრძლივობადა რაოდენობა დღეების მიხედვით
- 31 ცხრილი 3: საშუალო ქულა თითოეული პარტიისთვის
- 45 ცხრილი 4: ქცევის კოდექსის დარღვევის შერჩეული შემთხვევების შეფასება პარტიების წარმომადგენლებისა და ექსპერტების მიერ

## გრაფების ჩამონათვალი

- 26 გრაფა 1: საგნობრივი გამოსვლების წილი გამოსვლების საერთო რაოდენობაში
- 27 გრაფა 2: საგნობრივი გამოსვლების წილი 20 წამზე ხანგრძლივი გამოსვლების რაოდენობაში
- 29 გრაფა 3: საგნობრივი გამოსვლების წილი თითოეული პარტიის შემთხვევაში
- 33 გრაფა 4: გამოსვლების ხანგრძლივობა თითოეული პარტიისთვის სატელევიზიო არხების მიხედვით
- 37 გრაფა 5: დარღვევების რაოდენობა პარტიების მიერ VS პარტიების წინააღმდეგ
- 40 გრაფა 6: გადანაწილება დარღვევების ტიპების მიხედვით
- 42 გრაფა 7: ქცევის კოდექსის დარღვევების ტიპების გადანაწილება
- 43 გრაფა 8: დარღვევების გადანაწილება სქესის მიხედვით

## მოკლე შინაარსი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო არა მხოლოდ პოსტ-საარჩევნო პოლიტიკური კრიზისის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ არჩევნებმა განსაზღვრა ქვეყნის განვითარების შედარებით უფრო გრძელვადიანი პოლიტიკური დინამიკა. არჩევნები და წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩეოდა მთელი რიგი გამოწვევებით, როგორცაა ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილის ნიჭილიზმი პოლიტიკის მიმართ, პოლიტიკური პოლარიზაცია, არათანაბარი პირობები მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის და COVID-19 პანდემია.

ამ გამოწვევებისა და პოლარიზებული წინასაარჩევნო გარემოს ფონზე, პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ წინასაარჩევნო კონკურენციის ძირითად პრინციპებსა და ნორმებზე. საბოლოო ჯამში, 40-მა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიამ 2020 წლის არჩევნების წინ ხელი მოაწერა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს. დოკუმენტზე ხელის მოწერით პარტიები ნებაყოფლობით იღებენ პასუხისმგებლობას, დაიცვან წინასაარჩევნო კონკურენციის პრინციპები, დაემორჩილონ გარეკვეულ ნორმებს, პატივი სცენ ერთმანეთს და ამომრჩეველს და თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც დაარღვევს ეთიკურ წესებს.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია იმის მოკლევადიანი შეასრულებს წამყვანმა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ეს პრინციპები და აღასრულებს ნორმები, რომლებზეც ისინი არჩევნების წინ ნებაყოფლობით შეთანხმდნენ. ანგარიშში გამოყენებულია კვლევის რამდენიმე რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდი, მათ შორის, სამაგიდო კვლევა, ინტერვიუები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან, ასევე, ძირითადი მედიასაშუალებების მონიტორინგი. შედეგად, გაანალიზებულია, თუ რამდენად აღასრულებს დოკუმენტზე ხელმოწერმა აქტორებმა ქცევის კოდექსის წინასწარ შერჩეული ნორმები. მონიტორინგი, ასევე, შეეხება თვითრეგულაციის მექანიზმებს, რომლებიც ნახსენებია როგორც ქცევის კოდექსში, ისე ინტერვიუებში პარტიების წარმომადგენლების მიერ. ამავდროულად, ანგარიში ასახავს, თუ რამდენად საგნობრივი და პრობლემაზე ორიენტირებული იყო წინასაარჩევნო კამპანია.

მედია მონიტორინგის ფარგლებში, დაფიქსირდა ქცევის კოდექსის დარღვევის 300 ცალკეულ შემთხვევაზე მეტი ათი წამყვანი პოლიტიკური პარტიის მიერ არჩევნების პირველ ტურამდე წინასაარჩევნო პერიოდის ათდღიან მონაკვეთში. პოლიტიკურ პარტიებს არ შეუმუშავებიათ არავითარი ახალი შიდა მექანიზმი ქცევის კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგისთვის. ამ ვალდებულების შესახებ მათ არც კონკრეტული ინსტრუქციები გაუვრცელებიათ. ამასთან, დიდი პარტიები ნაკლებად გამოირჩევიან საგნობრივი წინასაარჩევნო კამპანიით, პროგრამატული ან პრობლემაზე ორიენტირებული დისკუსიებით სატელევიზიო გამოსვლების დროს.

ამ ყველაფრის ფონზე, პოლიტიკური პარტიები, ექსპერტები და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიესალმებიან პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შექმნას. გრძელვადიან პერიოდში, ქცევის კოდექსი, შესაძლოა, გახდეს საქართველოს პოლიტიკური ტრადიციის განუყოფელი ნაწილი და მისი პრინციპების დარღვევა მნიშვნელოვნად ზიანისმომტანი იყოს პარტიის იმიჯისთვის. ეს, შესაბამისად, გაამარტივებს ქცევის კოდექსის ვალდებულებების აღსრულებას პარტიების მიერ.

ქცევის კოდექსი განსაზღვრავს თამაშის კონკრეტულ წესებს და ხელს უწყობს პოლიტიკოსებს, აქტივისტებს და მოქალაქეებს შორის ცნობიერების ამაღლებას. აქედან გამომდინარე, დოკუმენტი არის წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში და, მას შეუძლია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მეტად სამართლიანი წინასაარჩევნო გარემოს შექმნაში.

## ძირითადი მიგნებები

- ინფორმაციის ნაკლებობა. პარტიებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია ქცევის კოდექსის შესახებ.** პარტიის ლიდერები გაეცნენ ქცევის კოდექსის ვალდებულებებს, რადგანაც გადანყვეტილების მიღება, გამხდარიყო თუ არა ესა თუ ის პარტია დოკუმენტზე ხელმომწერი, მოხდა მათთან ერთობლივი დისკუსიების შედეგად. თუმცა, ინფორმაციის გაზიარება არ იყო სისტემური აქტივისტებთან, პარტიის სხვა წევრებთან, და, რაც მთავარია, მხარდამჭერებთან. მათთან ინფორმაციის გავრცელება ხდებოდა ყველაზე ნაკლები ინტენსივობით. ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია დოკუმენტზე ხელმომწერი პარტიების შესახებ. ქცევის კოდექსის შესახებ კომუნიკაციის მიზნით, სოციალური მედია, რომელიც საკმაოდ პოპულარული პლატფორმაა საქართველოში, გამოყენებული იყო საკვლევი ათი პარტიიდან მხოლოდ ორი მათგანის შემთხვევაში.
- შეზღუდული კომუნიკაცია. ქცევის კოდექსის შესახებ კომუნიკაცია და ინფორმაციის გაზიარება, როგორც წესი, პოლიტიკური საბჭოების ყრილობაზე ზოგადი განხილვით შემოიფარგლებოდა.** დოკუმენტი ეგზავნებოდა პარტიების რეგიონულ სტრუქტურებს. ზოგიერთ შემთხვევაში, დოკუმენტის შესახებ კომუნიკაცია ხდებოდა ვერბალურადაც რეგიონულ შეხვედრებზე. თუმცა, პარტიები ამგვარი კომუნიკაციის ფარგლებში იშვიათად განიხილავდნენ დეტალებს და დისკუსიები მოიცავდა მხოლოდ ზოგად ინფორმაციას კოდექსზე ხელმომწერის ფაქტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ როგორც ინტერვიუებიდან გამოვლინდა, პარტიები ქცევის კოდექსს განიხილავენ მორალური და ეთიკური ნორმების კონტექსტში და, შესაბამისად, ხშირად ისინი ვერ ხედავენ დოკუმენტის შესახებ ფორმალური და სისტემური კომუნიკაციის აუცილებლობას.

- **აღსრულების მექანიზმის არარსებობა.** საკვლევად შერჩეული ათი პარტიიდან არცერთს არ შეუმუშავებია ახალი მექანიზმი მონიტორინგის განხორციელებისათვის. როგორც წესი, ნებისმიერი ტიპის აღსრულებისა და მონიტორინგის ფუნქციას ითავსებენ უკვე არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულები. თუმცა, შესამჩნევია, რომ ამ ერთეულებს არ ეძლეოდათ კონკრეტული ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ქცევის კოდექსით აღებული ვალდებულებების აღსრულება ან მონიტორინგი.
- **საგნობრივი დისკუსიის სიმცირე.** მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2020 წლის 20 ოქტომბრიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით, დღის ყველაზე ინტენსიურ პერიოდს (20:00 – 23:59), ჯამში პარტიების წარმომადგენლების 1160 გამოსვლა შეფასდა. მათი უმეტესობა არ შეიცავდა პოლიტიკურ ცვლილებებთან და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ საგნობრივ, პროგრამაზე ან პრობლემაზე ორიენტირებულ დისკუსიას. 1 160 გამოსვლიდან, 54% შეფასდა, როგორც სრულიად არასაგნობრივი. გამოსვლების დაახლოებით მესამედი (32%) შეფასდა, როგორც ნაწილობრივ საგნობრივი მაშინ, როდესაც 14% შეფასდა, როგორც სრულად საგნობრივი, პროგრამაზე ან პრობლემაზე ორიენტირებული.
- **ნეგატიური კამპანია კვლავ დომინანტურია.** მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ პარტიების წარმომადგენლები ხშირად არღვევენ ქცევის კოდექსის ნორმებს მედიაში. მონიტორინგის ათი დღის განმავლობაში 300-ზე მეტი დარღვევა დაფიქსირდა. მათი უმრავლესობა იყო პიროვნული შეურაცხყოფა, პოლიტიკოსების დაუსაბუთებელი განცხადებები ოპონენტების კრიმინალში და არასწორ ქცევაში დადანაშაულების მიზნით. დარღვევები, ძირითადად, მიზნად ისახავდა ამომრჩევლის თვალში ოპონენტის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებას. შეურაცხყოფის, ბრალდებების და ცილისწამების რეგულარული გამოყენება მედიაში მხოლოდ ამომრჩევლის გაყოფას და დაბნევას შეიძლება ემსახურებოდეს, ნაცვლად ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში ხელის შეწყობისა. თუმცა, პოლიტიკოსები თავს იკავებენ სიძულვილის ენისგან ან მასობრივი ძალადობისკენ მოწოდებებისგან მედიაში.
- **პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგები ძლიერია.** როგორც მედიამონიტორინგმა აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 50 პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა, საარჩევნო დაპირისპირება, ძირითადად, ორმხრივი იყო და წარმოადგენდა შეჯიბრების არენას მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. თითქმის ყველა დაფიქსირებული დარღვევა ეკუთვნოდა ან მმართველ პარტიას ოპოზიციასთან მიმართებით, ან პირიქით.

- **პარტიების ლიდერების შეკავება კვლავ გამოწვევაა. დარღვევების უმეტესობა ეკუთვნის იმ გამომსვლელებს, რომლებსაც პარტიაში მაღალი პოზიციები უჭირავთ** (ან პარტიული სიის ათეულში შედიან, ან მაჟორიტარობის კანდიდატები არიან). ეს ტენდენცია მოსალოდნელი იყო, რადგან საეთერო დროის უმეტესობა, როგორც წესი, პარტიის წამყვან წევრებს ეთმობა. კოდექსის დარღვევებში მამაკაცები, დაახლოებით, ხუთჯერ აჭარბებენ ქალებს.
- **განსხვავებული ინტერპრეტაციები.** დარღვევების შემთხვევების კონკრეტული მაგალითების განხილვისას, პოლიტიკური პარტიების და ექსპერტების მოსაზრებებმა გამოავლინა, რომ კონკრეტული შემთხვევის ქცევის კოდექსის ნორმის დარღვევად მიჩნევა დამოკიდებულია **(1) საკუთრივ დოკუმენტის პრინციპების განსხვავებულ ინტერპრეტაციებზე ან (2) კონკრეტული დარღვევის კონკრეტულ კონტექსტზე.**
- **ბუნდოვანი ხაზი კონკურენციას და კოდექსის დარღვევას შორის.** რესპონდენტების მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ დარღვევების შეფასებისას განისაზღვროს პერსონალიზაციის ხარისხი - ვინ არღვევს კოდექსის ნორმას და ვის წინააღმდეგ, რადგან დარღვევა, ერთი შეხედვით, შეიძლება იყოს „პოლიტიკური კონკურენციის“ ნაწილი ან „უწყინარი კრიტიკა“.
- **ოპონენტის დემონიზება, როგორც ხელოვნება.** ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ანგარიშების და სხვა ოფიციალური წყაროების მიხედვით, 2020 წლის **საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი დატვირთული იყო ნეგატიური კამპანიით**, პოლიტიკურ სუბიექტებზე თავდასხმით, მათი დემონიზებით, ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებით, ფიზიკური დაპირისპირებების შემთხვევებით, კანდიდატებისა და პარტიების მადისკრედიტირებელი აქტივობებით და ყალბი მხარდამჭერი გვერდებით სოციალურ ქსელში.
- **პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს განსხვავებულად ესმით წინასაარჩევნო კამპანიის ინკლუზიურობის არსი.** ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები მიუთითებენ, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეძლეს ტრადიციულად მოწყვლადი ჯგუფების პოლიტიკურ პროცესებში ინტეგრირება მაშინ, როცა თავად პარტიების წარმომადგენლები ქალების, ეთნიკური უმცირესობებისა და ახალგაზრდების ჩართულობას მათი წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნევდნენ.



## შესავალი

გამართული და ანგარიშვალდებული პოლიტიკური ინსტიტუტები მდგრადი დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია. პოლიტიკური პარტიები თანამედროვე წარმომადგენლობით დემოკრატიებში ცენტრალური აქტორები არიან და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ სისტემაში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მოქალაქეებს და სამთავრობო პროცესებს. [1] პარტიები გარდაქმნიან მოქალაქეების მოთხოვნებს პოლიტიკურ საკითხებად. ისინი ახდენენ საჯარო პოზიციებზე კანდიდატების მობილიზებას, აყალიბებენ პროგრამებს სამთავრობო მოქმედებების განსაზღვრის მიზნით, ერთმანეთს ეჯიბრებიან ხმების მოსაპოვებლად და, თუ გაუმართლებთ, იღებენ აღმასრულებელ ძალაუფლებას კონკრეტული ვადით. ძლიერი პოლიტიკური პარტიული სისტემა მნიშვნელოვანი პირობაა გამართული წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვის.

დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველო, სადაც პოლიტიკური კულტურა ჯერ კიდევ ჩანასახოვანია, მიისწრაფვის დემოკრატიული პოლიტიკური პარტიული სისტემის განვითარებისკენ. თუმცა, დამოუკიდებლობის შემდეგ, თითქმის ოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში, მან ვერ მოახერხა დემოკრატიული სტრუქტურების კონსოლიდაცია და საუკეთესო შემთხვევაში, ჰიბრიდულ რეჟიმად რჩება. [2] პოლიტიკური სასამართლო სისტემის, სახელმწიფო რესურსებზე მმართველი პარტიის გადაჭარბებული წვდომისა და მყარად ვერტიკალური აღმასრულებელი ძალაუფლების გარდა საქართველოს ერთპარტიული ტრადიციის მთავარ მიზეზად მიიჩნეოდა შერეული საარჩევნო სისტემა. საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამ გააძლიერა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ფორმალური საფუძველი, თუმცა აშკარაა, რომ თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ არც პოლიტიკური ნება და არც გამოცდილება დემოკრატიული მმართველობისა.

ამ ფონზე, 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები განსაკუთრებულ პირობებში ჩატარდა: ერთი მხრივ, შეცვლილი საარჩევნო სისტემის პირობებში, საზოგადოებაში შედარებით დაძაბული და მრავალფეროვანი პარტიული კონკურენციის მოლოდინი არსებობდა. მეორე მხრივ, საქართველოს მოქალაქეებს საკანონმდებლო ორგანოს ახალი შემადგენლობა პანდემიურ პირობებში უნდა აერჩიათ. ამ გარემოებებმა სრულიად უნიკალური ატმოსფერო შექმნა მეთვლეკის პარლამენტის დაკომპლექტების წინ. ამ პირობებში, განსაკუთრებულ ინტერესს იძენდა ისიც, რომ მმართველ პარტიას, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის განმავლობაში პირველად, შესაძლებლობა ჰქონდა, მესამე ვადით შეენარჩუნებინა ხელისუფლება.

[1] (Klingemann et al. 1994, p. 5)

[2] (Kakachia & Lebanidze 2019)

ამ კომპლექსური გარემოებების გათვალისწინებით, ოქტომბრის არჩევნების წინ, განსაკუთრებით საგულისხმო გახდა საარჩევნო სუბიექტების ბრძოლის სტრატეგია და კონკურენციის როგორც ფორმა, ისე მისი შინაარსი, რამაც, საბოლოოდ, ჯანსაღი და რაციონალური პოლიტიკური გარემოს შექმნას უნდა მისცეს ბიძგი. თუმცა, დემოკრატიზაციის პროცესში, პარტიების პოლიტიკური ქცევის ეთიკა წინასაარჩევნო კამპანიაში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ის არის არჩევნების უსაფრთხოების, მაღალი ხარისხის და ლეგიტიმურობის მართვის ინსტრუმენტი. სიძულვილისა და პროვოკაციული, ცილისმწამებლური, დამამცირებელი, ქსენოფობიური, მუქარის შემცველი თუ ძალადობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის დამაზიანებელი ენის გამოყენებაზე უარის თქმა ეთიკური ნორმების ნაწილია დემოკრატიული მშენებლობის გზაზე. [3]

აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საარჩევნო დებულებების მიღმა სხვადასხვა ეთიკურ ნორმებზე შეთანხმება, რამაც სტაბილური საარჩევნო გარემო უნდა უზრუნველყოს. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი შეთანხმებაა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი, რომელიც შემუშავდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან შვეიცარიის სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მონაწილეობით. [4] ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის დოკუმენტი დაეფუძნა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს შემუშავებულ ნორმებს. დოკუმენტს ხელი მოაწერა 40-მა - როგორც მმართველმა, ისე ოპოზიციურმა - საარჩევნო სუბიექტმა. [5] დოკუმენტზე ხელის მოწერით, პოლიტიკური პარტიები ნებაყოფლობით იღებენ წინასაარჩევნო კონკურენციის პრინციპების შესრულების ვალდებულებებს, რომ დაიცავენ ეთიკის ნორმებს, პატივს სცემენ ერთმანეთს და ამომრჩეველს, არ გამოიყენებენ ბრძოლის ეთიკურად გაუმართლებელ ხერხებს, როგორცაა, ძალადობა, ცილისწამება, ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებით გამოყენება, ბოტების ქსელის მობილიზება და ა.შ. [6]

ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, შეთანხმების მნიშვნელობიდან გამომდინარე და დაძაბული წინასაარჩევნო გარემოების გათვალისწინებით, განსაკუთრებით აქტუალური გახდა პარტიების ქცევის წესებზე დაკვირვება. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მოიცავს პოლიტიკური პარტიების მხრიდან ქცევის კოდექსის აღსრულების ეფექტიანობის კვლევის შედეგებს. ანგარიშის ფარგლებში გაანალიზებულია, თუ რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა თვითრეგულირების ის მექანიზმები, რომლებიც დოკუმენტით არის გათვალისწინებული და რომლებიც თავად პარტიებს უნდა შეემუშავებინათ, ამავდროულად, რამდენად საგნობრივ კონკურენციას აწარმოებდნენ ისინი წინასაარჩევნო პერიოდში.

[3] (Monney & Valladares 2017)

[4] (CEC 2020a)

[5] (CEC 2020b)

[6] (CEC 2020b)

ანგარიშის ამოცანაა, კვლევის შედეგად მიღებულ მთავარ მიგნებებზე დაყრდნობით, სხვადასხვა დაინტერესებულ აქტორებს - პოლიტიკურ პარტიებს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ქართულ მედიას და სამოქალაქო საზოგადოებას, საერთაშორისო დამკვირვებლებს, პარტნიორებს და დონორებს - შესთავაზოს რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის კოდექსის მეტ ეფექტიანობას პრაქტიკაში. ასევე, იმედი გვაქვს, რომ ეს ანგარიში ხელს შეუწყობს სამართლიანი და კონკურენტუნარიანი წინასაარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას სამომავლოდ და კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოში მრავალპარტიული, სამართლიანობაზე დამყარებული დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

## მეთოდოლოგია

### ანგარიშის მიზანი

ანგარიში მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და ასრულებდნენ წამყვანი პოლიტიკური პარტიები საქართველოში ქვეყნის კოდექსის პრინციპებსა და მუხლებს, რასაც მათ ხელი მოაწერეს 2020 წლის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე, ანგარიშის მიზანია, გამოკვეთოს მთავარი გამოწვევები, რომლებსაც პარტიები აწყდებოდნენ ქვეყნის კოდექსის აღსრულების ან შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმების შემუშავების პროცესში.

### კვლევის კომპონენტები

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტებს. თვისებრივი მეთოდი დაფუძნებულია სამაგიდო კვლევაზე და პოლიტიკური პარტიების და ადგილობრივი თუ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუებზე. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მედიამონიტორინგის სახით. ანგარიშის მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- დარღვევების მედიამონიტორინგი

მედიამონიტორინგი მოიცავდა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ მედიაორგანიზაციებს. მონიტორინგის ფოკუსი იყო როგორც თბილისის, ისე ის რეგიონები, რომლებიც ტრადიციულად გამოირჩევიან დარღვევებით, განსაკუთრებით, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებული ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები, ასევე, სამეგრელო და შიდა ქართლი კონფლიქტის საზღვრისპირა ზონებით. ონლაინმონიტორინგის ფარგლებში, ასევე, მოქცეულია ქვეყნის კოდექსის დარღვევები როგორც მთელი ქვეყნის, ისე, რეგიონული მასშტაბით, რაზეც მიუთითებს შერჩეული სამიზნე მედიაორგანიზაციები (მათი ჩამონათვალისთვის იხილეთ დანართი 1).

პოლიტიკური პარტიების მიერ ქცევის კოდექსის აღსრულების მონიტორინგი მოიცავდა შემდეგ ელემენტებს: **ქცევის კოდექსის შემდეგი მუხლების დარღვევების მონიტორინგი:**

- სიძულვილის ენის, დისკრიმინაციული განცხადებების და ქსენოფობიური და/ან მუქარის შემცველი გამონათქვამების გამოყენებისგან თავის შეკავება;
- ძალადობა ან ძალადობის გამოყენებისკენ მოწოდებისგან თავის შეკავება;
- კონკურენტების ღირსების პატივისცემა, პიროვნული შეურაცხყოფისგან თავის შეკავება;
- კონკურენტი პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების უფლების პატივისცემა;
- სხვა კანდიდატების შესახებ უკანონოდ მოპოვებული ან/და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავება;
- საარჩევნო კამპანიის წარმოებისას ისეთი საჯარო გამოსვლებისგან, განცხადებებისგან, სააგიტაციო მასალის (მედია, ვიდეო, აუდიო, სოციალური მედია, ბეჭდური) გავრცელებისგან თავის შეკავება, რომელიც გულისხმობს ცილისწამებას, ღალატის, ტერორიზმის, ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, სიძულვილის, დაპირისპირების და კონფლიქტის ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა ნიშნით წახალისებას;
- სხვა პოლიტიკური სუბიექტების, მათი წევრების შესახებ მედიასაშუალებებისთვის ცილისწამებლური, დაუსაბუთებელი ცნობების მიწოდებისგან თავის შეკავება. მედიის ან მედიის ცალკეული წარმომადგენლის ქმედებების და განცხადებების საჯაროდ დაგმობა, რომლებიც შეიცავს მუქარას, ცილისწამებას, ან შეურაცხყოფას ამომრჩევლის ან საარჩევნო სუბიექტის მიმართ.
- საგნობრივი კამპანიის მედიამონიტორინგი

ქცევის კოდექსის მუხლების დარღვევებზე დაკვირვების გარდა, ჩატარდა ექვსი ცენტრალური სატელევიზიო არხის მონიტორინგი, რათა გამოვლენილიყო, თუ რამდენად საგნობრივი, პროგრამაზე და პრობლემაზე დაფუძნებული იყო ძირითადი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანია. ამ მიზნით, მედიამონიტორინგი შეიცავს დამატებით მონაცემებს. წინამდებარე ანგარიშში **საგნობრივი კონკურენცია** განმარტებულია, როგორც პოლიტიკური პარტიების მხრიდან კონკრეტულ პრობლემაზე განსხვავებული ან მსგავსი მიდგომების შესახებ ამომრჩეველთან კომუნიკაცია. საჯარო გამოსვლა უნდა შეეხებოდეს პოლიტიკურ საკითხებსა და შედეგებს, რათა მიჩნეული იყოს, როგორც **საგნობრივი**. საჯარო გამოსვლად მიღებულია სატელევიზიო გამოსვლა მის შეწყვეტამდე წამყვანის ან ნებისმიერი ჭრის მიერ.

- ინტერვიუები პარტიების წარმომადგენლებთან

პარტიების მიერ კოდექსის აღსრულების და მონიტორინგის შიდა მექანიზმებზე დაკვირვება მოხდა ინტერვიუების და სამაგიდო კვლევის მეშვეობით ქცევის კოდექსის შემდეგი ნაწილების მიხედვით:

- ქცევის კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგის შიდაპარტიული მექანიზმის დანერგვა, როგორცაა: პარტიის ლიდერებისთვის, აქტივისტებისთვის და მხარდამჭერებისთვის ინფორმაციისა და ინსტრუქციების მიწოდება ქცევის კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგის შესახებ; შიდაპარტიული მექანიზმის მუშაობის შესახებ ინფორმაციის და გამოცდილების პერიოდულად გაზიარება დანარჩენი პარტიებისთვის; ეთიკური პრინციპების დარღვევის შემთხვევების დაგმობა საკუთრივ პარტიების კანდიდატების, პარტიული მუშაკების, წარმომადგენლების და აქტივისტების მხრიდან.

პარტიებს შიგნით დოკუმენტის პრინციპების აღსრულებისა და მონიტორინგის შიდა მექანიზმების შემუშავების უკეთ გამოსაკვლევად, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა ჩაატარა ინტერვიუების ორი რაუნდი ათი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან არჩევნების პირველ ტურამდე ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო შემდეგ 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარში. ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები მოიცავდა კითხვებს ქცევის კოდექსის აღსრულების და განხორციელების შესახებ პარტიის შიგნით.

- ინტერვიუები ჩართულ მხარეებთან

პარტიების წარმომადგენლებთან ინტერვიუების გარდა, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა ჩაატარა 15 ინტერვიუ ექსპერტებთან და საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებთან. კითხვარი შედგებოდა ორი ნაწილისგან: წინასაარჩევნო გარემოსა და პარტიების მიერ ქცევის კოდექსის შესრულების შეფასება და კომენტარი ქცევის კოდექსის კონკრეტული დარღვევების შესახებ. ამისთვის, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა გამოიყენა უკვე ჩატარებული მედიამონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირებული სავარაუდო დარღვევები და მოამზადა კონკრეტული მაგალითები, რომელთა შესახებაც, რესპონდენტებს - ექსპერტებსა და არჩევნების დამკვირვებლებს - უნდა გაეზიარებინათ საკუთარი ინტერპრეტაცია. დარღვევების შემთხვევები წარდგენილი იყო ანონიმურად და განმეორებით, დარღვევების ხელახალი გადამოწმების და მონიტორინგის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების და ექსპერტების შეფასებების შედარების მიზნით.

## ანგარიშის მასშტაბი

პოლიტიკური პარტიების მიერ ქვეყნის კოდექსის აღსრულების მონიტორინგი მიმდინარეობდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურამდე ათი დღის განმავლობაში. პირველი ტურის შემდეგ, ოპოზიციური პარტიების მიერ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის შედეგად, საარჩევნო კამპანიის დინამიკის მკვეთრი ცვლილების გათვალისწინებით, არჩევნების მეორე ტურის მედიამონიტორინგი ჩანაცვლდა დამატებითი ინტერვიუებით პოლიტიკურ პარტიებთან, ექსპერტებთან და ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან.

მონიტორინგი მოიცავდა ათ პოლიტიკურ პარტიას, რომლებმაც მიიღეს ხმების მინიმუმ 1% ბოლოდროინდელ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში (NDI-ის, IRI-ის, Edison research-ის მიხედვით). მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა შემდეგი ათი პარტია:

1. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
3. ევროპული საქართველო
4. ახალი საქართველოსთვის - სტრატეგია აღმაშენებელი
5. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
6. საქართველოს ლეიბორისტული პარტია
7. მოძრაობა მოქალაქეები
8. ლელო საქართველოსთვის
9. გირჩი
10. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო

## შეზღუდვები

როგორც დარღვევების, ისე საგნობრივი წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგი მიმდინარეობდა დღის ყველაზე აქტიურ პერიოდში სატელევიზიო არხებისთვის (20:00 – 00:00). მიუხედავად იმისა, რომ, დიდი ალბათობით, ეს პერიოდი ადეკვატურად ასახავს პარტიების კამპანიის სტრატეგიებს და შესაძლებელია დარღვევების უმრავლესობის გამოვლენა, არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ მონიტორინგის პროცესში ვერ დაფიქსირდა დარღვევის უკლებლივ ყველა მაგალითი.

ამასთან ერთად, საგნობრივი კამპანიის მედიამონიტორინგი დაფუძნებულია მხოლოდ ექვს სატელევიზიო არხზე. შესაბამისად, ანგარიში სრულყოფილად ვერ ასახავს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო სტრატეგიას და მათი კამპანიის მახასიათებლებს, რადგან გარდა სატელევიზიო გადაცემებისა, პოლიტიკური პარტიები აქტიურად იყენებდნენ ამომრჩეველთან კომუნიკაციის სხვა საშუალებებს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო კამპანიების საგნობრიობის ხარისხის დადგენის მიზნით გაკეთებული პოლიტიკოსების გამოსვლების კოდირების პროცესი შეიცავს სუბიექტურობის გარკვეულ ხარისხს. ამგვარად, მედიამონიტორინგის მიგნებების ინტერპრეტირება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, გამომდინარე იქიდან, რომ ანგარიში ასახავს ზოგად სურათსა და დინამიკას. გარდა ამისა, მედია არ არის პასიური აქტორი, რომელიც უბრალოდ ირეკლავს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათს. მედიასაშუალებები განსხვავდებიან გადაცემების ფორმატებით და სარედაქციო პოლიტიკით.

## 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური კონტექსტი და წინასაარჩევნო გარემო

2020 წლის 31 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მეათე მოწვევის პარლამენტის დასაკომპლექტებლად საპარლამენტო არჩევნების თარიღად 31 ოქტომბერი გამოაცხადა. [7] ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 50 საარჩევნო სუბიექტი - 48 პარტია და 2 ბლოკი (7 პარტია) დარეგისტრირდა. არჩევნებამდე 60 დღით ადრე, 31 აგვისტოს, წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო.

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ფუნდამენტური მნიშვნელობის იყო: ერთი მხრივ, ეს ხმის მიცემა უნდა ყოფილიყო ერთგვარი ტესტი ქართული საზოგადოებისთვის, თუ რამდენად შეძლებდა ქვეყანა საარჩევნო სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად რეალური მრავალპარტიული პარლამენტის დაკომპლექტებას. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესო იყო ის, თუ რამდენად მოახერხებდა მმართველობაში მყოფი „ქართული ოცნება“ ძალაუფლების მესამე ვადით შენარჩუნებას, რაც საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, ამ დრომდე, არასდროს მომხდარა. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა წინასაარჩევნო კამპანიის კონკურენტულ და სამართლიან პოლიტიკურ პრინციპებზე დაფუძნებით წარმართვა. მეორე მხრივ, ახალი და უნიკალური პანდემიური გარემოს გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიებისთვის, დამატებითი დაბრკოლების სახით, წარმოიშვა სხვადასხვა შეზღუდვები, მაგალითად, ამომრჩეველთან უშუალო კომუნიკაციის ნაკლები შესაძლებლობები. გამონკვევები გაჩნდა, ასევე, ადმინისტრაციული თვალსაზრისით არჩევნების უსაფრთხოდ და ორგანიზებულად ჩატარებისთვის.

[7] (Civil.ge 2020a)

2020 წელს, რამდენიმეთვიანი პოლიტიკური კრიზისის და მოლაპარაკებების შედეგად, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა საკონსტიტუციო ცვლილებით, რომლის თანახმად, პარლამენტში 150 წევრიდან 120 აირჩევა პროპორციული, ხოლო 30 - მაჟორიტარული წესით. უფრო პროპორციულსკენ გადახრილი საარჩევნო სისტემა, თეორიულად, საშუალებას აძლევდა ქართულ საზოგადოებას, დაეკომპლექტებინა შედარებით მრავალპარტიული და კონკურენტული პარლამენტი. ამავდროულად, აღნიშნული ცვლილების შედეგად, მეტ პარტიას გაუჩნდა შანსი, საკუთარი წევრებით შეეცხო საკანონმდებლო ორგანო და მიეღო მანდატების გარკვეული რაოდენობა. ამ ფონზე, პოლიტიკურ სივრცეში გაჩნდა არაერთი ახალი პარტია და ბლოკი, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოლიტიკურ არენაზე ახალი მოთამაშეები იყვნენ, ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნეოდნენ. ასეთები იყვნენ მამუკა ხაზარაძის „ლელო“, ალექო ელისაშვილის „მოქალაქეები“ და „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“. ეს უკანასკნელი საარჩევნოდ ბლოკურ თანამშრომლობაში შევიდა ასევე ახლადშექმნილ პარტია „კანონი და სამართალთან“. ამგვარად, რადგანაც, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მრავალპარტიული პარლამენტის ფორმირებისთვის მეტი სივრცე გაჩნდა, არსებობდა მოლოდინი, რომ წინასაარჩევნო გარემო უნდა ყოფილიყო ბევრად კონკურენტუნარიანი, დაძაბული და მრავალფეროვანი.

2020 წლის არჩევნების მნიშვნელობას განაპირობებდა, ასევე, Covid-19-ით შექმნილი განსაკუთრებული და განსხვავებული გარემო. პანდემიურ პირობებში, არჩევნების ადმინისტრაციული ორგანიზების საკითხი გარკვეულ გამოწვევებს და პროცედურულ სიახლეებს დაექვემდებარა. [8] ამ პროცესში, ცესკოს გარკვეულმა მიდგომებმა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კრიტიკაც დაიმსახურა. მაგალითისთვის, მათი შეფასებით, დაინფიცირებული ამომრჩევლის რეგისტრაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ხარვეზიანი იყო. [9] პანდემიურმა გარემოებებმა განაპირობა, აგრეთვე, საერთაშორისო დამკვირვებლების შეზღუდული რაოდენობის წარმომადგენლობა საქართველოში. მაგალითად, მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიები შეზღუდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების (ეუთო/ოდირი) ოფისმა [10] და არჩევნებზე დაკვირვებას მხოლოდ ძირითადი ექსპერტებისა და გრძელვადიანი დამკვირვებლების ჯგუფი აგრძელებდა.

საბოლოო ჯამში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები აქტიური დაკვირვების საგანი იყო როგორც პარტნიორი სახელმწიფოების, ისე სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

[8] (CEC 2020c)

[9] (Transparency International 2020a)

[10] (Civil.ge 2020b)



გარდა ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიებისა, საქართველოში ჩამოვიდნენ ნატოს და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეების, დიდი ბრიტანეთის სადამკვირვებლო ჯგუფები. ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით, არჩევნებს აქტიურად აკვირდებოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI). [11] პერიოდულად, სხვადასხვა გამოხმაურებები და შეფასებები ქვეყნებოდა როგორც აშშ-დან, ისე ევროკავშირიდან.

აღწერილი გარემოებების ფონზე, წინასაარჩევნო ატმოსფერო საკმაოდ დაძაბული, ზოგიერთ შემთხვევაში, არაჯანსაღიც იყო. სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები პერიოდულად მიუთითებდნენ მნიშვნელოვან გადაცდომებზე, რომლებიც აზიანებდა ჯანსაღ კონკურენტულ პოლიტიკურ გარემოს. წინასაარჩევნო ატმოსფეროს განსაკუთრებით არაკონკურენტულს ხდიდა ისეთი ტრადიციულად დამახასიათებელი ტენდენციები, როგორცაა, მმართველი პარტიის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება. მაგალითისთვის, შეგვიძლია, მოვიყვანოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) მიერ გაუღებულ მითითება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო აგიტაციის სტრატეგიის გამოყენებაზე. [12]

წინასაარჩევნო გარემო პოლარიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. მთავარი დაპირისპირება, უმთავრესად, მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის მიმდინარეობდა. საყურადღებო იყო ოპოზიციური პარტიების ურთიერთთანამშრომლობის საკითხი. მიმდინარე არჩევნებზე ორი ბლოკური გაერთიანება შეიქმნა. ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშიას“ ქვეშ გაერთიანდა ხუთი სუბიექტი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „პროგრესი და თავისუფლება“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკური პარტია“ და „ევროპული დემოკრატები“, ხოლო „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელს“ შეუერთდა „კანონი და სამართალი“. ამავდროულად, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, პერიოდულად, ერთმანეთის კანდიდატების მხარდაჭერის მიმართულებითაც თანამშრომლობდნენ, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ, „ევროპული საქართველოს“ მიერ დუშეთში ბექა ნათელაშვილისთვის (ლეიბორისტული პარტია) მხარდაჭერა მაჟორიტარობის კანდიდატად.

წინასაარჩევნო კამპანიის დაძაბულობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს გარკვეული პარტიების წევრებსა და აქტივისტებზე თავდასხმის ფაქტების სიმრავლე, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეულ საპოლიციო და საგამოძიებო რეაგირებებსაც დაექვემდებარა. მაგალითისთვის, შსს-ს ჩართვა მოჰყვა „ლელოს“, „სტრატეგია აღმაშენებლის“ და „ქართული ოცნების“ წევრებზე და/ან აქტივისტებზე თავდასხმის ფაქტებს.

[11] (Civil.ge 2020c)

[12] (mod.gov.ge 2020)

გარდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა, რამდენიმე შემთხვევაში, თავდასხმის მსხვერპლი აღმოჩნდნენ ჟურნალისტებიც. პერიოდულად წინასაარჩევნო ატმოსფერო იძაბებოდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ბოლნისში, დმანისში, მარნეულში. უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდარღვევის ფარგლებში რეაგირება მოჰყვა, ასევე, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ აჭარაში განთავსებულ ბანერს, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან ანტითურქულ ქმედებად შეფასდა, რასაც მოჰყვა პარტიის დაჯარიმება აგიტაციის წესების დარღვევის გამო.

ამ ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პოლიტიკურ პარტიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის წარმართვის სხვადასხვა მექანიზმებმა, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსმა, რომლის ძირითადი პრინციპების აღსრულება პოლიტიკური პარტიებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ექვემდებარება ამკრძალავ ან სადამსჯელო პრინციპებს, ლეგიტიმური და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებისთვის ქცევის კოდექსის ქმედითუნარიანობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია, ერთი მხრივ, კოდექსის სხვადასხვა პრინციპების დარღვევების დინამიკა, მეორე მხრივ, მთავარი მიგნებები პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებების შესახებ დოკუმენტის არსისა და მისი აღსრულების მიმართ.

## ქცევის კოდექსის აღსრულება პოლიტიკური პარტიების მიერ

ანგარიშის ეს ნაწილი მოიცავს ქცევის კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც, ხელმომწერმა პარტიებმა აიღეს ვალდებულება, რომ ქმედით ნაბიჯებს გადადგამდნენ ქცევის კოდექსის შესრულების და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს. ჯამში ჩატარდა 17 ინტერვიუ ორ ეტაპად. ინტერვიუების პირველი რაუნდი ჩატარდა 2020 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის წინ და მასში მონაწილეობა შემდეგმა 8 პარტიამ მიიღო: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ევროპული საქართველო, ქართული ოცნება, გირჩი, ლელო, სტრატეგია აღმაშენებელი, დემოკრატიული მოძრაობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ინტერვიუების პირველ რაუნდში მონაწილეობაზე ორმა პარტიამ - მოქალაქეები და ლეიბორისტული პარტია - განაცხადა უარი.

ინტერვიუების მეორე რაუნდი გაიმართა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურების შემდეგ, 2020 წლის დეკემბრის ბოლოსა და 2021 წლის იანვრის პირველ ნახევარში. მეორე რაუნდში მონაწილეობა შემდეგმა 9 პარტიამ მიიღო: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, მოქალაქეები, ევროპული საქართველო, ქართული ოცნება, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, ლელო, სტრატეგია აღმაშენებელი, დემოკრატიული მოძრაობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ინტერვიუების მეორე რაუნდში მონაწილეობაზე უარი მხოლოდ ერთმა პარტიამ - გირჩმა განაცხადა იმ მოტივით, რომ პარტიის წევრები დაკავებული იყვნენ პოლიტიკური კრიზისის გამო, რომელიც პირველი რაუნდის შემდეგ განვითარდა.

აღსანიშნავია, რომ პარტიების წარმომადგენლებს, ზოგიერთ შემთხვევაში, არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია სხვა ხელმომწერების შესახებ. მაგალითად, ინტერვიუების პირველი ტურის დროს გამოვლინდა, რომ სამი პარტიის შემთხვევაში, პარტიის წარმომადგენელმა ზუსტად არ იცოდა, მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ ქცევის კოდექსის ხელმომწერი იყო თუ არა. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ დოკუმენტზე ხელის მოწერის პროცედურა გარკვეული ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და პარტიების წარმომადგენლები მას ხელს ცალ-ცალკე აწერდნენ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პარტიის წარმომადგენელი არ იცნობდა ქცევის კოდექსის შინაარსს. უფრო კონკრეტულად, პირველი რაუნდის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან ორი იყო ისეთი, რომლის დროსაც პარტიის წარმომადგენელი არ იცნობდა ქცევის კოდექსის შინაარსს და ინფორმაციას მას ინტერვიუერი აწვდიდა კოდექსის კონკრეტული მუხლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების პირველ რაუნდში ერთმა პარტიამ - ლეიბორისტული პარტია - უარი განაცხადა ინტერვიუზე იმ მიზეზით, რომ პარტია არ იყო დოკუმენტზე ხელისმომწერი მხარე, თუმცა, ინტერვიუების მეორე ეტაპზე აღნიშნულ პარტიასთან, როგორც ხელისმომწერ აქტორთან კომუნიკაცია შედგა. ინტერვიუების მეორე რაუნდში ჩატარდა ინტერვიუ პარტია მოქალაქეების წარმომადგენელთან იმ დაშვებით, რომ პარტია დოკუმენტზე ხელისმომწერ მხარედ თავს არ მიიჩნევს (თუმცა, ცესკოს მონაცემების მიხედვით, აღნიშნული პარტია დოკუმენტის ხელმომწერი ერთ-ერთი სუბიექტია).

### **რამდენად იცნობენ პარტიის ლიდერები, აქტივისტები და მხარდამჭერები ქცევის კოდექსს?**

ქცევის კოდექსის მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი პარტიები იღებენ ვალდებულებას, რომ კოდექსის პრინციპების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან პარტიის ლიდერებს, აქტივისტებსა და მხარდამჭერებს. ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ პარტიების მიერ ლიდერების, აქტივისტებისა და მხარდამჭერების ინფორმირების პროცესს არასისტემური ხასიათი ჰქონდა.

პარტიების წარმომადგენლების მიხედვით, პარტიის ლიდერები იცნობენ კოდექსის ვალდებულებებს, რადგან კოდექსთან მიერთების გადაწყვეტილება პარტიების ლიდერებმა ერთობლივად განიხილეს ხელმომწერამდე.

გამონაკლის სწარმოადგენს გირჩი, მოქალაქეები და ლეიბორისტული პარტია. ხელმოწერის შემდეგ პარტიების მხრიდან ლიდერებთან კომუნიკაცია ქცევის კოდექსის ვალდებულებებთან დაკავშირებით კონკრეტული ინსტრუქციების შესახებ არ მომხდარა. თუმცა, საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, პარტიების ლიდერები ქცევის კოდექსის მოთხოვნებისა და მისი შინაარსის შესახებ საკმარის ინფორმაციას არ ფლობდნენ.

აქტივისტებისა და პარტიის სხვა წევრების შემთხვევაში, პარტიების მიერ ინფორმაციის მიწოდებას არასისტემური ხასიათი ჰქონდა. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა პრაქტიკა, როდესაც პარტიებმა ქცევის კოდექსის დოკუმენტი რეგიონულ სამსახურებს გადაუგზავნეს ან სიტყვიერად გააცნეს, რაც, მათი თქმით, უზრუნველყოფს იმას, რომ რეგიონის დონეზე პარტიის სხვადასხვა წარმომადგენლებს ჰქონდათ ინფორმაცია. მაგალითად, ორი პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგიონულ ორგანიზაციებსა და აქტივისტებში ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნეს ქცევის კოდექსი, ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელექტრონული ფოსტა არ გამოუყენებიათ, თუმცა რეგიონებში შეკრებების დროს, აქტიურად ხდებოდა კომუნიკაცია ქცევის კოდექსის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მოხდა არაფორმალურად და კომუნიკაციას სისტემური ხასიათი არ ჰქონია. პარტიის წარმომადგენლებს, როგორც წესი, არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად კარგად იცნობენ პარტიის აქტივისტები (ფართო გაგებით) ქცევის კოდექსის შინაარსს და კონკრეტულ მუხლებსა თუ ვალდებულებებს. ყველა პარტიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ეს ეთიკის ნორმები ისედაც ემთხვევა იმ ნორმებს, რომლებსაც პარტიის ლიდერები და აქტივისტები იზიარებენ.

რაც შეეხება მხარდამჭერებს, ამ მხრივ, კომუნიკაცია ყველაზე ნაკლებად მოხდა პარტიების მხრიდან. მართალია, ზოგიერთი პარტიის შემთხვევაში მოხდა სოციალური ქსელ Facebook-ში ქცევის კოდექსის ტექსტის გაზიარება, თუმცა მთლიანობაში პარტიები ნაკლებად ან საერთოდ არ აწარმოებენ კომუნიკაციას მხარდამჭერებთან და ამომრჩევლებთან ქცევის კოდექსით აღებული ვალდებულებების შესახებ. ინტერვიუების ფარგლებში, პარტიებს ვკითხეთ, რამდენად მოხდა ქცევის კოდექსის და აღებული ვალდებულებების შესახებ კომუნიკაცია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. პარტიის წარმომადგენლების მიხედვით, რაიმე განსხვავება კომუნიკაციის ფორმებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებსა და სხვა რეგიონებს შორის არ ყოფილა. თუმცა, ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ზოგადად, პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან სიძნელეებს აწყდებიან ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში კომუნიკაციის თვალსაზრისით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ პრობლემა, მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე.

პარტიების მხრიდან ქცევის კოდექსის შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირება, ძირითადად, შემოიფარგლებოდა პოლიტიკურ საბჭოზე განხილვით, რეგიონულ ორგანიზაციებში გადაგზავნით და, ზოგიერთ შემთხვევაში, რეგიონულ შეკრებებზე ვერბალურად გაცნობით. თუმცა, პარტიები კოდექსის შესახებ განხილვების დროს ნაკლებად შედიოდნენ დოკუმენტის შინაარსში და, ძირითადად, კმაყოფილებოდნენ დოკუმენტზე ხელის მონერის შესახებ ზოგადი ინფორმაციით. აღსანიშნავია, რომ, როგორც ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, პარტიების წარმომადგენლების აზრით, ქცევის კოდექსი იმდენად თანხვედრაშია დაუნერგელ ეთიკის ნორმებთან, რომ ფორმალური და სისტემური კომუნიკაციის საჭიროებას კონკრეტულად ქცევის კოდექსის დოკუმენტის შესახებ ვერ ხედავენ.

### ქცევის კოდექსი პარტიის სტრუქტურაში

ქცევის კოდექსის მე-4 მუხლის 4.3. პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი პარტიები იღებენ ვალდებულებას, რომ დანერგავენ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებისა და მონიტორინგის შიდაპარტიულ მექანიზმს. არცერთ პარტიას აღსრულების ან მონიტორინგის რაიმე ახალი შიდა მექანიზმი არ დაუნერგავს. ძირითადად, კოდექსით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებისა და მონიტორინგის ფუნქციებს უკვე არსებული შიდაპარტიული სტრუქტურული ერთეულები ითავსებენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პარტიებს არ მიუციათ რაიმე კონკრეტული ინსტრუქცია არც უკვე არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ქცევის კოდექსით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულება და მონიტორინგი.

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, შერჩეულმა პარტიებმა ქცევის კოდექსის მონიტორინგი დაავალეს უკვე არსებულ შიდაპარტიულ სტრუქტურულ ერთეულებს. ეს ერთეულები პარტიების მიხედვით განსხვავდება და მოიცავს ადგილობრივ ორგანიზაციებსა და რეგიონულ კოორდინატორებს, იურიდიულ სამსახურს, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს და რეგიონული თუ თბილისის ორგანიზაციებს/სამსახურებს. თუმცა, პარტიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ კონკრეტული ინსტრუქცია იმის თაობაზე, თუ რა სახით უნდა მოხდეს ხელმომწერი ქცევის კოდექსის ვალდებულებების აღსრულება და მონიტორინგი შიდაპარტიული სტრუქტურებისთვის არ მიუციათ. უკვე არსებული ერთეულები, როგორც წესი, პარტიის მმართველი წრეებიდან წამოსული დავალებებისა და ზოგადი გადაცდომების მონიტორინგს ახორციელებენ. შესაბამისად, კონკრეტული მექანიზმი ხელმომწერი ქცევის კოდექსით აღებული ვალდებულებების აღსრულებისა და მონიტორინგის შესახებ არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ არცერთ პარტიას ქცევის კოდექსის ვალდებულებების აღსრულების ან მონიტორინგის რაიმე ახალი შიდა მექანიზმი არ დაუნერგავს, პარტიების წარმომადგენლები ვერ ხედავენ დამატებით საჭიროებას ამ მიმართულებით.

ეს, შესაძლოა, აიხსნას იმ ფაქტით, რომ პარტიებს უჭირთ დარღვევების იდენტიფიცირება როგორც პარტიის წევრების, ისე აქტივისტების მიერ. ათი საკვლევად შერჩეული პარტიიდან, მხოლოდ რამდენიმემ შენიშნა, რომ პარტიის წევრს დაურღვევია ქცევის კოდექსი. მათი თქმით, აღნიშნული დარღვევები არ იყო სისტემური, შესაბამისად, დამრღვევმა პიროვნებებმა პარტიისგან ზეპირი გაფრთხილება მიიღეს.

მეორე მხრივ, პარტიის წარმომადგენლები მრავლად ასახელებენ სხვა პარტიების მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევებს. განსაკუთრებულ აქცენტს ყველა ოპოზიციური პარტია (9 გამოკითხული პარტია) მმართველ პარტიაზე აკეთებს. ისინი თვლიან, რომ ასიმეტრიული რესურსებიდან და ბერკეტებიდან გამომდინარე, მმართველი პარტია არის პასუხისმგებელი ქცევის კოდექსის დარღვევების უდიდეს ნაწილზე.

### **როგორ ხედავენ პარტიები გამოსავალს?**

პარტიების წარმომადგენლები იმ ფაქტს, რომ ქცევის კოდექსის ვალდებულებების შესრულება ნაკლებად ხდება, მიაწერენ საქართველოში არსებული პოლიტიკური კულტურის თავისებურებებს და მმართველი პარტიის მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობას (ამ უკანასკნელს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ასახელებენ). უფრო ზუსტად, პარტიების წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ქცევის კოდექსის პრინციპების დარღვევები, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკურ წონას ზრდის და ამომრჩეველზე უარყოფითად არ მოქმედებს. მაგალითი, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში იყო მოყვანილი, არის პოლიტიკოსის პირადი ჩანაწერების გაჟონვა, რამაც შედეგად გამოიწვია კონკრეტული პოლიტიკოსის პოლიტიკიდან წასვლა. გარდა ამისა, ზოგიერთი პარტია ახსენებდა დემოკრატიული კონკურენციის გამოცდილების ნაკლებობას პარტიებს შორის და განათლების დაბალ დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, პარტიები ეწინააღმდეგებიან ქცევის კოდექსის ნორმების სამართლებრივ ჭრილში გადატანას, რადგან, ისინი ფიქრობენ, რომ ასეთი კოდექსი, შესაძლოა, გახდეს ინსტრუმენტი არასწორ ხელში.

რაც შეეხება მექანიზმს, თუ როგორ შეიძლება, ნაკისრი ვალდებულებების მონიტორინგი, პარტიებს უჭირთ კონკრეტული შეთავაზებების გაკეთება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ინტერვიუს დროს, დასახელდა ინტერპარტიული საბჭოს შექმნის იდეა, სადაც პარტიების წარმომადგენლებთან ერთად იქნებოდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისია, ძირითადი მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭო არ იქნებოდა მუდმივმოქმედი და მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე შეიქმნებოდა. ამგვარად, შესაძლებელი იქნებოდა ქცევის კოდექსით ნაკისრი ვალდებულებების უკეთ აღსრულება და მონიტორინგი.

## პოლიტიკური პარტიების კამპანიის საგნობრიობა სატელევიზიო არხების მიხედვით

მონიტორინგის ფარგლებში ხუთი კერძო და ერთი საზოგადოებრივი ტელეკომპანია შეირჩა. ეს ტელეკომპანიებია: ტელეკომპანია ფორმულა, პირველი არხი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი), იმედი, მთავარი არხი, რუსთავი 2 და ტვ პირველი. ზემოაღნიშნული ტელეკომპანიების შერჩევა ეფუძნება მათ რეიტინგს და მაყურებელთა რაოდენობას. მონიტორინგი ხორციელდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნითი ფაზის დროს 10 დღის განმავლობაში - 2020 წლის 20 ოქტომბრიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით. თითოეული ტელევიზიის შემთხვევაში, მონიტორინგი ხორციელდებოდა 20:00 საათიდან 23:59-მდე (თუმცა, თუ სატელევიზიო გადაცემა/პროგრამა, რომელიც დროის აღნიშნულ მონაკვეთში დაიწყო, გასცდებოდა 23:59-ს, მაინც ხდებოდა გადაცემის/პროგრამის მონიტორინგი მის დასრულებამდე).

მოცემული დროის მონაკვეთში იმ სატელევიზიო გადაცემების/პროგრამების მონიტორინგი მოხდა, რომლებშიც საქართველოში არსებული 10 ყველაზე რეიტინგული პარტიის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. გამონაკლისია გასართობი გადაცემები და ახალი ამბები; გასართობ გადაცემებში ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პოლიტიკურად აქტუალურ საკითხებზე საგნობრივი მსჯელობა წარიმართოს და ასახოს, რამდენად პროგრამაზე და საგნობრივ დასაბუთებაზე დაფუძნებული პარტიის წინასაარჩევნო კამპანია. ხოლო, ახალი ამბების გადაცემები ანალიზში არაა წარმოდგენილი, რადგან, როგორც წესი, აგებულია კონკრეტული საკითხების გარშემო. ახალი ამბების გადაცემებში პოლიტიკოსების გამოსვლები, ხშირად, ძალიან მოკლეა და მათი პასუხები ჟურნალისტის კითხვებზე გამოხმაურებას წარმოადგენს. შესაბამისად, ახალი ამბების გადაცემებიც ნაკლებად ასახავს იმას, თუ როგორია ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო სტრატეგია და/ან კამპანია. გამომდინარე იქიდან, რომ ანგარიშის მიზანი პარტიების კამპანიაზე დაკვირვებაა და არა სატელევიზიო გაშუქების ანალიზი, ახალი ამბების გადაცემები მონიტორინგის ამ ნაწილის ფოკუსს მიღმა დარჩა.

იმ გადაცემების ჩამონათვალი, რომელიც წინამდებარე ანგარიშშია წარმოდგენილი, შემდეგია: საქართველო ირჩევს, პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან, პოლიტმეტრი, დებატები, ნამდვილი რიცხვები, ღია ეთერი, პოზიცია, არენა, პირისპირ, დღის სტუმარი, მთავარი აქცენტები, ღამის მთავარი, პოსტ ფაქტუმი, ღამის კურიერი, რეაქცია, პოლიტიკური პარასკევი, პირველი ხაზი, საჯარო პოლიტიკა და მაია მამულაშვილის დღის ამბები.

## 10 ძირითადი პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლები

მთლიანობაში, პოლიტიკოსთა 1160 სიტყვა/გამოსვლა იქნა იდენტიფიცირებული და, შესაბამისად, კოდირებული. სიტყვა/გამოსვლა იქნა განსაზღვრული, როგორც შერჩეული 10 პარტიის ოფიციალური წევრის და/ან წარმომადგენლის მიერ სატელევიზიო სიტყვით გამოსვლა იქამდე, სანამ მას გააწყვეტინებს ჟურნალისტი, სხვა პოლიტიკოსი ან სარეკლამო ჭრა (აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსის გადალაპარაკება ან მოკლე რეპლიკა არ არის მიჩნეული სიტყვად/გამოსვლად). ზემოხსენებული 1160 სიტყვა/გამოსვლა პარტიების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - 90 სიტყვა/გამოსვლა
- მოქალაქეები - 47 სიტყვა/გამოსვლა
- დემოკრატიული მოძრაობა 34 - სიტყვა/გამოსვლა
- ევროპული საქართველო - 222 სიტყვა/გამოსვლა
- ქართული ოცნება - 91 სიტყვა/გამოსვლა
- გირჩი - 88 სიტყვა/გამოსვლა
- ლეიბორისტული პარტია - 121 სიტყვა/გამოსვლა
- ლელო - 118 სიტყვა/გამოსვლა
- სტრატეგია აღმაშენებელი - 83 სიტყვა/გამოსვლა
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 266 სიტყვა/გამოსვლა

რაც შეეხება, გამოსვლების დროით ხანგრძლივობას, მთლიანობაში, გამოსვლები მოიცავს 93 064 წამს (25 საათი და 50 წუთი). გამოსვლები, დროითი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, პარტიებზე შემდეგნაირად გადანაწილდა:



**ცხრილი 1:** გამოსვლების ხანგრძლივობა პარტიების მიხედვით

| პარტია                        | ხანგრძლივობა (წამი) |
|-------------------------------|---------------------|
| დემოკრატიული მოძრაობა         | 2 062               |
| მოქალაქეები                   | 3 200               |
| საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 4 864               |
| გირჩი                         | 5 150               |
| ლეიბორისტული პარტია           | 7 878               |
| სტრატეგია აღმაშენებელი        | 8 353               |
| ქართული ოცნება                | 9 253               |
| ლელო                          | 10 953              |
| ევროპული საქართველო           | 18 296              |
| ერთიანი ნაციონალური მოძრაობა  | 23 055              |

**შენიშვნა:** ცხრილში მოცემულია გამოსვლების ხანგრძლივობის შეკრების შედეგად მიღებული რიცხვები თითოეული პარტიის შემთხვევაში.

გამოსვლების რაოდენობა და საერთო ხანგრძლივობა დღეების მიხედვით კი, შემდეგნაირად გადანაწილდა (ცხრილი 2):

**ცხრილი 2:** გამოსვლების საერთო ხანგრძლივობა და რაოდენობა დღეების მიხედვით

| თარიღი       | გამოსვლების რაოდენობა | საერთო ხანგრძლივობა (წამი) |
|--------------|-----------------------|----------------------------|
| 21 ოქტომბერი | 82                    | 7 560                      |
| 22 ოქტომბერი | 155                   | 10 449                     |
| 23 ოქტომბერი | 193                   | 15 483                     |
| 24 ოქტომბერი | 98                    | 5 115                      |
| 25 ოქტომბერი | 42                    | 2 489                      |
| 26 ოქტომბერი | 114                   | 7 709                      |
| 27 ოქტომბერი | 162                   | 19 406                     |
| 28 ოქტომბერი | 98                    | 11 904                     |
| 29 ოქტომბერი | 134                   | 12 958                     |
| 30 ოქტომბერი | 82                    | 7 829                      |

ყველაზე ნაკლები გამოსვლა, ისევე, როგორც საერთო ხანგრძლივობა 2020 წლის 25 ოქტომბერს დაფიქსირდა, რაც იმით აიხსნება, რომ კვირა დღე იყო. ხოლო, კვირა დღეს, როგორც წესი, სატელევიზიო ეთერი ნაკლებად ეთმობა პოლიტიკურ ტოქშოუებსა და გადაცემებს. ყველაზე ბევრი გამოსვლა 23 ოქტომბერს (პარასკევი) დაფიქსირდა, ხოლო გამოსვლების საერთო ხანგრძლივობა ყველაზე მეტი 27 ოქტომბერს (სამშაბათი) იყო. ეს ყველაფერი აიხსნება ისეთი გადაცემების თანხვედრით, როგორიცაა ღამის კურიერი (რომელიც მხოლოდ 23 ოქტომბერსა და 27 ოქტომბერს გავიდა ეთერში), დებატები, პოლიტიკური პარასკევი, საქართველო ირჩევს, არენა, ღამის მთავარი, პირველი ხაზი და რეაქცია.

**რამდენად საგნობრივი, პროგრამაზე და საკითხებზე ორიენტირებული იყო პოლიტიკური პარტიების სატელევიზიო გამოსვლები?**

თითოეულ გამოსვლას/სიტყვას ანალიტიკოსების მიერ მიენიჭა ქულა იმის მიხედვით, რამდენად შეიცავდა საგნობრივ, დასაბუთებულ, პროგრამაზე და საკითხზე დაფუძნებულ მსჯელობას, რომელიც პოლიტიკის ცვლილებაზე და/ან შეფასებაზე (policy implications) მიუთითებდა. ქულების მინიჭება ხდებოდა შემდეგი პრინციპით:


- 0 ქულა გულისხმობს, რომ გამოსვლა საერთოდ არ შეიცავდა საგნობრივ, პროგრამაზე და საკითხზე ორიენტირებულ მსჯელობას;
- 1 ქულა გულისხმობს, რომ გამოსვლა ნაწილობრივადაა საგნობრივი, ორიენტირებული პროგრამაზე ან საკითხზე;
- 2 ქულა გულისხმობს, რომ გამოსვლა/სიტყვა საგნობრივ, დასაბუთებულ მსჯელობაზეა დაფუძნებული და პროგრამაზე ან საკითხზეა ორიენტირებული.

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული ტერმინი **საგნობრივი** გულისხმობს საგნობრივ, პროგრამაზე და საკითხზე ორიენტირებულ გამოსვლას/სიტყვას. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ანალიტიკოსები, რომლებიც აფასებდნენ რამდენად საგნობრივი იყო ესა თუ ის სიტყვა, არ შესულან შინაარსის შეფასებაში. სხვადასხვა ანალიტიკოსის მიერ სხვადასხვა გამოსვლების/სიტყვების კოდირება, რა თქმა უნდა, გულისხმობს სუბიექტურობის კომპონენტს; იმისთვის, რომ ნაწილობრივ გამოგვერიცხა სუბიექტურობის კომპონენტი მოხდა იმის გადამონმება, თუ რამდენად თანხვედრაში არიან სხვადასხვა კოდერები ერთი და იმავე გამოსვლის კოდირების დროს.

გამოსვლების უმრავლესობა საერთოდ არ მოიცავდა დასაბუთებულ, საგნობრივ და/ან პროგრამაზე და საკითხზე ორიენტირებულ მსჯელობას, რომელიც პოლიტიკის ცვლილებასთან ან შეფასებასთან იქნებოდა დაკავშირებული (policy implications). 1160 გამოსვლიდან/სიტყვიდან 54.2%-ს (629 გამოსვლა/სიტყვა) მიენიჭა 0 ქულა (გრაფა 1). გამოსვლების დაახლოებით მესამედი (32.3%) მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდა საგნობრივ მსჯელობას. ხოლო 13.5% იყო ისეთი სიტყვა/გამოსვლა, რომელიც შეფასდა, როგორც სრულად საგნობრივი, პროგრამაზე და საკითხზე ორიენტირებული. გამოსვლების მთლიანი რაოდენობის საშუალო ქულა კი 0.59-ია.

**გრაფა 1:** საგნობრივი გამოსვლების წილი გამოსვლების საერთო რაოდენობაში


**შენიშვნა:** გამოსვლების/სიტყვების სრული რაოდენობის (1160) რა ნაწილი არის საგნობრივი, ნაწილობრივ საგნობრივი და არასაგნობრივი.



აღსანიშნავია, რომ მონაცემებში მოხვდა ისეთი გამოსვლებიც, რომლებიც საკმაოდ მოკლეა და, შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საგნობრივ, დასაბუთებულ მსჯელობაზე იყოს დაფუძნებული, ვიდრე უფრო გრძელი სიტყვები/ გამოსვლები. აქედან გამომდინარე, გრაფა 2-ზე მოცემულია მხოლოდ ის გამოსვლები, რომლებიც 20 წამზე დიდ ხანს გრძელდება. სურათი, მეტ-ნაკლებად, იგივეა - 52% საერთოდ არ მოიცავდა საგნობრივ, დასაბუთებულ და/ან პროგრამაზე, საკითხზე დაფუძნებულ მსჯელობას, რომელიც პოლიტიკის ცვლილებას თან ან შეფასებასთან იქნებოდა დაკავშირებული. 33% მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდა საგნობრივ, დასაბუთებულ მსჯელობას. ხოლო 15% იყო ისეთი სიტყვა/გამოსვლა, რომელიც შეფასდა, როგორც სრულად საგნობრივი, პროგრამასა და/ან საკითხზე დაფუძნებული. 20 წამზე ხანგრძლივი გამოსვლების მთლიანი რაოდენობის საშუალო ქულა კი 0.63-ია.

**გრაფა 2:** საგნობრივი გამოსვლების წილი 20 წამზე ხანგრძლივი გამოსვლების რაოდენობაში

**შენიშვნა:** 20 წამზე მეტი ხანგრძლივობის გამოსვლების/სიტყვების სრული რაოდენობის (944) რანაწილი არის საგნობრივი, ნაწილობრივ საგნობრივი და არასაგნობრივი.




ზემოაღნიშნულ ექვს ტელევიზიაზე დაკვირვების შედეგად, ორგანიზაციული და ელექტორალური თვალსაზრისით ორი ყველაზე ძლიერი პარტიის გამოსვლების უდიდესი ნაწილი არასაგნობრივი იყო. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების გამოსვლების 68% და ქართული ოცნების წარმომადგენლების გამოსვლების 66% შეფასდა, როგორც არასაგნობრივი (გრაფა 3).

სხვა პარტიებთან შედარებით, ლელოს, სტრატეგია აღმაშენებლის, ევროპული საქართველოს და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელთა გამოსვლების დიდი წილი იყო სრულად ან ნაწილობრივ საგნობრივი. მაგალითად, ლელოს წარმომადგენელთა გამოსვლების უმრავლესობა შეფასდა, როგორც საგნობრივი (22%) ან ნაწილობრივ საგნობრივი (42%). გრაფა 3-ზე პარტიები დალაგებულია იმის მიხედვით, თუ მათი წარმომადგენლების გამოსვლების რამდენად დიდი წილი იყო საგნობრივი ან ნაწილობრივ საგნობრივი. შედეგად, თანმიმდევრობა ყველაზე მეტად საგნობრივიდან ყველაზე მეტად არასაგნობრივისკენ შემდეგნაირად გამოიყურება:


- ლელო
- სტრატეგია აღმაშენებელი
- ევროპული საქართველო
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
- გირჩი
- მოქალაქეები
- ლეიბორისტული პარტია
- დემოკრატიული მოძრაობა
- ქართული ოცნება
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

**გრაფა 3: საგნობრივი გამოსვლების წილი თითოეული პარტიის შემთხვევაში**


**ლულო**




**მოქალაქეები**




**სტრატეგია აღმაშენებელი**




**ლეიბორისტული პარტია**



**ევროპული საქართველო**




**დემოკრატიული მოძრაობა**




**გრაფა 3:** საგნობრივი გამოსვლების წილი თითოეული პარტიის შემთხვევაში


**პატრიოტთა ალიანსი**




**ქართული ოცნება**



**გირჩი**



**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა**



ასევე, შესაძლებელია, თითოეული პარტია მათ მიერ მიღებული საშუალო ქულის მიხედვით დალაგდეს (როგორც წესი, კატეგორიულ ცვლადებთან საშუალო არ გამოიყენება, თუმცა, რადგან ამ შემთხვევაში კატეგორიებს მიმდევრობა გააჩნიათ, პარტიების საშუალო მაჩვენებელი, შესაძლოა, საინტერესო იყოს). საშუალო მაჩვენებელი, შესაძლოა, ღირებული იყოს იმდენად, რამდენადაც ითვალისწინებს პარტიის გამოსვლების რა ნაწილი იყო ნაწილობრივ საგნობრივი (ქულა 1) და რა ნაწილი იყო სრულად საგნობრივი (ქულა 2);

**ცხრილი 3:** საშუალო ქულა თითოეული პარტიისთვის

**შენიშვნა:** პარტიების გამოსვლებს (N=1160) მიენიჭა ქულა 0, 1 ან 2. ცხრილში თითოეული პარტიის საშუალო მაჩვენებლებია მოცემული.

| პარტია                 | საშუალო ქულა | საშუალო ქულა<br>(მხოლოდ 20 წამზე ხანგრძლივი გამოსვლები) | საშუალო ქულა<br>(ერთ წუთზე გადათვლით) |
|------------------------|--------------|---|---------------------------------------|
| ლელო                   | 0,86         | 0,92  | 0,56                                  |
| პატრიოტთა ალიანსი      | 0,77         | 0,91  | 0,86                                  |
| სტრატეგია აღმაშენებელი | 0,78         | 0,77  | 0,47                                  |
| გირჩი                  | 0,64         | 0,69  | 0,65                                  |
| ევროპული საქართველო    | 0,63         | 0,63  | 0,46                                  |
| მოქალაქეები            | 0,59         | 0,73  | 0,52                                  |
| ლეიბორისტული პარტია    | 0,48         | 0,54  | 0,44                                  |
| დემოკრატიული მოძრაობა  | 0,47         | 0,52  | 0,47                                  |
| ნაციონალური მოძრაობა   | 0,45         | 0,47  | 0,31                                  |
| ქართული ოცნება         | 0,37         | 0,45  | 0,22                                  |



ცხილ 3-ზე მოცემული მონაცემების მიხედვით, სურათი, მეტწილად უცვლელია. პარტიები თავის სატელევიზიო გამოსვლებში უფრო მეტად იყვნენ არასაგნობრივი, ვიდრე საგნობრივი. გარდა მცირედი გადაადგილებებისა, მიმდევრობა - ყველაზე მეტად საგნობრივიდან ყველაზე ნაკლებად საგნობრივისკენ - იგივე რჩება: პარტიები, რომლებმაც, ცესკოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით 3%-ის ფარგლებში აიღეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, სხვა პარტიებთან შედარებით უფრო მეტ აქცენტს აკეთებდნენ საგნობრივ მსჯელობაზე. რაც შეეხება ელექტორალური თვალსაზრისით ორ ყველაზე დიდ პარტიას - ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა - მათი პარტიის წარმომადგენლების გამოსვლები ამ შემთხვევაშიც ყველაზე ნაკლებად საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან.

### **ძირითადი მიგნებები და მოკვლევის შეზღუდვები**


ტელევიზიებში ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების გამოსვლებზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გამოსვლების უმეტესობა არ იყო საგნობრივი, პროგრამაზე და საკითხზე ორიენტირებული. თუმცა, ის, თუ რამდენად საგნობრივი იყო სატელევიზიო გამოსვლები, განსხვავდება პარტიების მიხედვით. პარტიები, რომლებმაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ცესკოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 3%-ის ფარგლებში მიიღეს მხარდაჭერა, უფრო მეტად მიმართავდნენ საგნობრივ, საკითხზე ორიენტირებულ მსჯელობას, ვიდრე შედარებით დიდი პარტიები. ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამოსვლები (ამ ორმა პარტიამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჯამში თითქმის ხმების 80% მიიღო) ყველაზე ნაკლებად საგნობრივი, პროგრამაზე და საკითხზე დაფუძნებული აღმოჩნდა.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა მხოლოდ 6 ტელევიზიას მოიცავს, ეს ანგარიში სრულად ვერ ასახავს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო სტრატეგიასა და კამპანიის ხასიათს, რადგან ტელევიზიების გარდა, პოლიტიკური პარტიები სხვა არაერთი საშუალებითაც ურთიერთობენ ამომრჩეველთან. დასკვნები და მიგნებები მხოლოდ ამ ექვსი ტელევიზიის ფარგლებშია ვალიდური. ზოგიერთი პარტიის შემთხვევაში, მათი წარმომადგენლების გამოსვლების რაოდენობა საკმაოდ დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა პარტიებს. მაგალითად, პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელთა გამოსვლების საერთო რაოდენობა არის 90, საიდანაც 84 მომდინარეობს ერთი გადაცემიდან - საქართველო ირჩევს, ტელეკომპანია ფორმულა; ხოლო, დანარჩენი ექვსი გამოსვლა - რეაქცია, ტვ პირველი. მეორე მხრივ, მაგალითად, ევროპული საქართველოს წარმომადგენლების გამოსვლები 222-ს შეადგენს და 5 სხვადასხვა ტელევიზიიდან მომდინარეობს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოსვლების კოდირება, რომელიც ოთხი სხვადასხვა ანალიტიკოსის მიერ ხორციელდებოდა, შეიცავს სუბიექტურობის მნიშვნელოვან ხარისხს. შესაბამისად, ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემები უფრო ზოგად სურათზე მიაწვდიან და კონკრეტული რიცხვები, შესაძლოა, აბსოლუტური სიზუსტით არ ასახავდეს რეალობას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მედია არ არის პასიური აქტორი, რომელიც უბრალოდ აირეკლავდა პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათს. სხვადასხვა მედიას განსხვავებული ფორმატის გადაცემები და სარედაქციო პოლიტიკა აქვს. შესაბამისად, მათი გადაცემები განსხვავდება იმ კუთხითაც, თუ რამდენად ახალისებს საგნობრივ, პროგრამაზე და საკითხზე დაფუძნებულ მსჯელობას. ამ თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზოგიერთ ტელევიზიაში მხოლოდ გარკვეული პარტიები დომინირებენ, რაც, შესაძლოა, ასახავდეს პოლიტიკური პარტიების განსხვავებულ დამოკიდებულებას სხვადასხვა მედიასაშუალების მიმართ ან ტელეკომპანიის პოლიტიკას. ამგვარი ტენდენციის საილუსტრაციოდ გამოდგება გრაფა 4, სადაც ჩანს, რომ, მაგალითად, ტელეკომპანია იმედის ეთერში, ძირითადად, ქართული ოცნების წარმომადგენლების გამოსვლები დაფიქსირდა. მმართველი პარტიის წარმომადგენლების გამოსვლები, ასევე, მომდინარეობს რუსთავი 2-დან, თუმცა ნაკლებად სხვა ტელეკომპანიების ეთერებიდან (ახალი ამბების გამოკლებით).

**გრაფა 4:** გამოსვლების ხანგრძლივობა თითოეული პარტიისთვის სატელევიზიო არხების მიხედვით



## ქვევის კოდექსის დარღვევები: მედიამონიტორინგის შედეგები

მედიამონიტორინგი მიმდინარეობდა წინასაარჩევნო პერიოდში ათი დღის განმავლობაში (21-30 ოქტომბერი). მონიტორინგის შედეგად, გაანალიზდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების გამოსვლები მედიაში [13] პოლიტიკური პარტიების მიერ ქვევის კოდექსის დარღვევების იდენტიფიცირების მიზნით. ასევე, მოხდა ამ დარღვევების ძირითადი ტენდენციების შეფასება მედიაში პოლიტიკური კამპანიის დინამიკისა და ბუნების გამოკვეთის მიზნით. [14]

მონიტორინგი მიმდინარეობდა ქვევის კოდექსის შემდეგ მუხლებზე:

- სიძულვილის ენის, დისკრიმინაციული განცხადებების და ქსენოფობიური და/ან მუქარის შემცველი გამონათქვამების გამოყენებისგან თავის შეკავება; [15]
- ძალადობა ან ძალადობის გამოყენებისკენ მოწოდებისგან თავის შეკავება;
- კონკურენტების ღირსების პატივისცემა, პიროვნული შეურაცხყოფისგან თავის შეკავება;
- კონკურენტი პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების უფლების პატივისცემა;
- სხვა კანდიდატების შესახებ უკანონოდ მოპოვებული ან/და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავება;
- საარჩევნო კამპანიის წარმოებისას ისეთი საჯარო გამოსვლებისგან, განცხადებებისგან, სააგიტაციო მასალის (მედია, ვიდეო, აუდიო, სოციალური მედია, ბეჭდური) გავრცელებისგან თავის შეკავება, რომელიც გულისხმობს ცილისწამებას, ღალატის, ტერორიზმის, ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, სიძულვილის, დაპირისპირების და კონფლიქტის ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა ნიშნით წახალისებას;
- სხვა პოლიტიკური სუბიექტების, მათი წევრების შესახებ მედიასაშუალებებისთვის ცილისწამებლური, დაუსაბუთებელი ცნობების მიწოდებისგან თავის შეკავება. მედიის ან მედიის ცალკეული წარმომადგენლის ქმედებების და განცხადებების საჯაროდ დაგმობა, რომლებიც შეიცავს მუქარას, ცილისწამებას, ან შეურაცხყოფას ამომრჩევლის ან საარჩევნო სუბიექტის მიმართ.

მონიტორინგი მოიცავდა ათ პოლიტიკურ პარტიას (პარტიების ჩამონათვალისთვის იხილეთ დანართი 2), რომლებმაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში მიიღეს მინიმუმ 1%-იანი მხარდაჭერა (NDI, IRI, Edison research).

[13] See the list of monitored media outlets in Annex 1

[14] See the Media Monitoring Methodology Annex 3

[15] Hate Speech is hereby defined as: any kind of communication in speech, writing or behaviour, that attacks or uses pejorative or discriminatory language with reference to a person or a group on the basis of who they are, in other words, based on their religion, ethnicity, nationality, race, colour, descent, gender or other identity factor (UNITED NATIONS STRATEGY AND PLAN OF ACTION ON HATE SPEECH, 2019)

## ძირითადი მიგნებები

მედიამონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ხშირად არღვევდნენ ქცევის კოდექსს მედიაში. მონიტორინგის ათი დღის განმავლობაში 300-ზე მეტი დარღვევა დაფიქსირდა. მათი უმრავლესობა მოიცავდა პიროვნულ შეურაცხყოფას, პოლიტიკოსების დაუსაბუთებელ განცხადებებს, ოპონენტებისთვის დანაშაულის ან სხვადასხვა გადაცდომის დაბრალების მიზნით. დარღვევები, ძირითადად, მიზნად ისახავდა ამომრჩევლის თვალში ოპონენტის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებას. შეურაცხყოფის, ბრალდებების და ცილისწამების რეგულარული გამოყენება მედიაში შეიძლება ემსახუროდეს მხოლოდ ამომრჩევლების პოლარიზაციას და დაბნევას ნაცვლად ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დახმარებისა. თუმცა, პოლიტიკოსები თავს იკავებდნენ სიძულვილის ენის გამოყენების ან მასობრივი ძალადობისკენ მოწოდებებისგან მედიაში.

მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 50 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, არჩევნები, ძირითადად, ორპოლუსიანი იყო და წარმომადგენდა დაპირისპირების სივრცეს მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. თითქმის ყველა დაფიქსირებული დარღვევა ეკუთვნოდა ან მმართველ პარტიას ოპოზიციასთან მიმართებით, ან პირიქით. გამონაკლისი იყო მხოლოდ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, რომელიც კოდექსს ორივეს მისამართით არღვევდა.

დარღვევების უმეტესობა ეკუთვნის იმ გამომსვლელებს, რომლებსაც პარტიაში მაღალი პოზიციები უჭირავთ (ან პარტიული სიის ათეულში შედიან, ან მაჟორიტარობის კანდიდატები არიან). ეს ტენდენცია მოსალოდნელი იყო, რადგან საეთერო დროის უმეტესობა, როგორც წესი, პარტიის წამყვან წევრებს ეთმობა. დარღვევებში მამაკაცები დაახლოებით ხუთჯერ აჭარბებენ ქალებს. თუმცა, ამ სტატისტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის, რომ ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკურ ლიდერებს შორის საკმაოდ დაბალია. მაგალითად, გამოკვლეული ათი პარტიიდან არცერთს არ ჰყავდა პარტიული სიის ათეულში შეყვანილი 3-ზე მეტი ქალი. [16]

რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოვლენამ გავლენა იქონია პოლიტიკური კამპანიის მიმდინარეობაზე მონიტორინგის პერიოდში, და, საფუძვლად დაედო კოდექსის დარღვევის შემთხვევებს, კერძოდ:

- საქართველოს ბანკის ზუგდიდის ფილიალის ძარცვა: 21 ოქტომბერს, შეიარაღებულ მამაკაცს საქართველოს ბანკის ზუგდიდის ფილიალში რამდენიმე საათის განმავლობაში მძევლები ჰყავდა აყვანილი. საბოლოოდ, მძევლები გათავისუფლდნენ, თუმცა მძარცველმა თანხით გაქცევა მოახერხა. [17]

[16] (CEC 2020d)

[17] (Civil.ge 2020d)

ამ მოვლენამ გამოიწვია პოლიციის ეფექტიანობის კრიტიკა. ოპოზიციის წარმომადგენლები ადანაშაულებდნენ მთავრობას და მმართველ პარტიას კრიმინალურ სამყაროსთან თანამშრომლობაში და იმაში, რომ მმართველი პარტია კრიმინალებს არჩევნების მოსაგებად იყენებს. ამასთან, მმართველი პარტია ადანაშაულებდა ოპოზიციას სიტუაციის პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით გამოყენებაში.

- კორონავირუსის შემთხვევების მკვეთრი მატება: სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაწყებული კორონავირუსის დადებითი შემთხვევების სწრაფი ზრდა მკვეთრად გაგრძელდა ოქტომბრის განმავლობაშიც. ოპოზიცია ადანაშაულებდა მთავრობას, რომ ის პანდემიას მოსახლეობისთვის თავისუფლებების შეზღუდვის მიზნით იყენებდა და ხელს უწყობდა არჩევნებში ნაკლებ ჩართულობას, მათ შორის, იზოლაციაში და კარანტინში მყოფი ადამიანებისთვის ხმის მიცემის შეზღუდვის გზით. თავის მხრივ, მთავრობა ადანაშაულებდა ოპოზიციას რეალური სიტუაციის მუქი ფერებით წარმოჩენაში და ზოგჯერ, მასშტაბური მსვლელობების ორგანიზების შედეგად, პანდემიური სიტუაციის შეგნებულად გამწვავებაშიც კი.
- საარჩევნო წესები და კამპანია: პოლიტიკოსებისთვის აქტუალური თემა იყო საკუთრივ არჩევნებიც. ოპოზიცია ადანაშაულებდა მმართველ პარტიას ხმების მასშტაბურ მოსყიდვაში და ამომრჩევლის დაშინებაში მაშინ, როცა მმართველი პარტია აცხადებდა, რომ ოპოზიცია გეგმავდა „მასობრივ ამბოხს“. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება აქცენტი გაკეთდეს ქართული ოცნების ლიდერის ირაკლი კობახიძის განცხადებაზე 30 ოქტომბერს, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე. ხმის მიცემის წინა საღამოს ირაკლი კობახიძემ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ქართულ ოცნებას აქვს დოკუმენტები, რაც ადასტურებს ოპოზიციის განზრახვას, დააორგანიზოს ძალადობრივი ინციდენტები საარჩევნო პროცესის დროს და შემდეგ, [18] ამასთან მან მიუთითა ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე წევრზე, როგორც მასობრივი დესტრუქციული ქმედებების ორგანიზატორებზე და სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დაეწყოს გამოძიება და დარწმუნებულიყო, რომ მსგავსი ინციდენტები თავიდან იქნებოდა აცილებული. განცხადების გავრცელების სპეციფიკური დროის გამო არც მედიას და არც პოლიტიკურ ოპონენტებს არ ჰქონდათ საშუალება, რეაგირება მოეხდინათ კობახიძის განცხადებაზე, რადგან მედიასაშუალებების უმრავლესობამ ის პიკის საათში პირდაპირ ეთერში გადასცა, ისევე, როგორც გავრცელეს ონლაინ მედიის ძირითადმა საშუალებებმა.

## დარღვევების განაწილება პოლიტიკური პარტიების მიხედვით


ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაარღვია ქვეყნის კოდექსი მინიმუმ ერთხელ მონიტორინგის განმავლობაში. პარტიების მიერ ჩადენილი დარღვევების რიცხვი მჭიდრო კავშირშია მათთვის დათმობილ საეთერო დროსთან და გაშუქებასთან მედიაში.

[18] (Interpressnews 2020a)

EU-UNDP-ის მედიამონიტორინგის მიხედვით, სატელევიზიო ახალი ამბების ანალიზზე დაყრდნობით, დათმობილი საეთერო დროის მიხედვით მოწინავე პარტიები არიან ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო. [19] ამავდროულად, ეს ის სუბიექტები არიან, რომელთა მხრიდანაც ყველაზე მეტჯერ დაფიქსირდა ქცევის კოდექსის პრინციპების დარღვევა.

თითქმის ყველა დარღვევა განხორციელდა ან ოპოზიციური პარტიის მხრიდან ქართული ოცნების მიმართ, ან პირიქით, რაც მიუთითებს პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებაზე. ეს წარმოჩინდა, ასევე, პოლარიზებულ მედიაგარემოში. ყველაზე მეტი დარღვევა ევროპული საქართველოს წევრების მხრიდან დაფიქსირდა, მათ მოჰყვებიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება. გამომდინარე იქიდან, რომ ოპოზიციური პარტიები ქართული ოცნების წინააღმდეგ იყვნენ გაერთიანებული, მმართველი პარტია არის კოდექსის დარღვევების ადრესატთა სიის სათავეში. დარღვევების 70%-ზე მეტი მიმართულია ქართული ოცნების წინააღმდეგ, ხოლო, თავის მხრივ, ქართული ოცნების მთავარი სამიზნე, ძირითადად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იყო. შესაბამისად, პრაქტიკულად არცერთი დარღვევა სხვა, შედარებით პატარა ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ არ იყო მიმართული.

**გრაფა 5:** დარღვევების რაოდენობა პარტიების მიერ VS პარტიების წინააღმდეგ



[19] (Georgian Charter of Journalistic Ethics 2020)

შინაარსობრივი თვალსაზრისით, როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიები მსგავსი დარღვევებით გამოირჩეოდნენ.

ოპოზიციური პარტიები ავრცელებდნენ შეურაცხყოფელ კომენტარებს მმართველი პარტიის შესახებ. ისინი იყენებდნენ სიტყვებს, როგორცაა „გიჟი“, „ივანიშვილის კლოუნი“, „პუტინის დანიშნული“ და ა.შ. შეურაცხყოფელი განცხადებები კეთდებოდა, ასევე, ზოგადად პარტიის წინააღმდეგ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართული ოცნების „მეორე ვირუსად“ მოხსენიება.

საკუთარი ოპონენტების დამცირებისგან თავს არც ქართული ოცნება იკავებდა. ისინი ოპოზიციურ სუბიექტებს შეურაცხყოფას აყენებდნენ როგორც პიროვნულ, ისე პარტიულ კონტექსტში. ამ პროცესში მმართველი პარტიის მხრიდან გამოიყენებოდა ტერმინები, როგორცაა „კრიმინალური მენტალიტეტი“, „პოლიტიკური სვავები“, „პოლიტიკური მაროდორები“, „რადიკალური ოპოზიცია“ და ა.შ.

ოპოზიციის წევრები მმართველ პარტიას ადანაშაულებდნენ ხმების მოსყიდვაში, ამომრჩევლის დაშინებაში, კრიმინალებთან თანამშრომლობაში, კორონავირუსის არჩევნების მოსაგებად გამოყენებაში. ამავედროულად, ოპოზიცია ქართულ ოცნებას აბრალებდა მძიმე ეკონომიკურ სიტუაციას და რუსეთთან თანამშრომლობას. მაგალითად, ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი სატელევიზიო შოუში აცხადებდა:

„ეს არის მატყუარა მთავრობა, ეს არის მოღალატეობრივი მთავრობა, ეს არის რუსული მთავრობა, ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ბიძინა ივანიშვილი და მისი კლანი, ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს ამ ქვეყანაში.“

ამის საპირისპიროდ, მმართველი პარტიის წევრები ადანაშაულებდნენ ოპოზიციას რუსეთთან თანამშრომლობაში და არჩევნების დესტაბილიზაციის დაგეგმვაში, ასევე, ქვეყნის პრობლემების პოლიტიკური ქულების დასაწერად გამოყენებასა და განგსტერული ჯგუფების მობილიზებაში.

„ეჭვგარეშეა, რომ რადიკალური ოპოზიციის რეალური ტაქტიკური ამოცანა ამ არჩევნებში არის არა გამარჯვება, არა წარმომადგენლობის მოპოვება პარლამენტში იმდენად, რამდენადაც უფრო არჩევნების დისკრედიტაცია და ჩრდილის მიყენება თავისუფალი არჩევნების მიმართ“ - განაცხადა მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ოპოზიციასთან მიმართებაში.

ათი პოლიტიკური პარტიიდან გირჩი არის ერთადერთი სუბიექტი, რომელიც თავს იკავებს ქვეყნის კოდექსის დარღვევისაგან. აღნიშნული პარტიის მხრიდან მხოლოდ ერთი მცირე დარღვევა დაფიქსირდა, რომელიც დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელებას მოიცავდა. გირჩის წევრები არ შეურაცხყოფდნენ ოპონენტებს მედიის საშუალებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, გირჩის მხრიდან დარღვევების ასეთი მცირე მაჩვენებელი შეიძლება დაკავშირებული იყოს პარტიის წევრების შედარებით იშვიათად გამოჩენასთან მედიაში.

UNDP-ის მედიამონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, გირჩი არ იყო იმ შვიდ პარტიას შორის, რომლებსაც ყველაზე მეტი საეთერო დრო დაეთმოთ 2020 წლის ივნის-ნოემბერში, განსხვავებით მათი მოწინააღმდეგე პარტიებისგან, როგორცაა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო და ლელო.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ასევე გამორჩეულია საერთო ტენდენციებში. პარტია ავრცელებდა ბრალდებებს როგორც ქართული ოცნების, ისე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ასევე, ევროპული საქართველოს მისამართით. ბრალდებები, ძირითადად, შეეხებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს. გარდა ამისა, პატრიოტთა ალიანსი აქტიურად აჟღერებდა იდეას, რომ ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვთ საიდუმლო შეთანხმება, რათა შეინარჩუნონ პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, რომელიც ორ ცენტრზე იქნება ორიენტირებული.

პატრიოტთა ალიანსი ასპონსორებდა სხვადასხვა მედიასაშუალებებს პარტიის წარმომადგენლების გამოსვლების გასავრცელებლად, [20] სადაც ნაციონალური მოძრაობა დადანიშნულია სხვადასხვა კრიმინალურ ქმედებებში.

### **დარღვევების გადანაწილება ქვეყნის კოდექსის მუხლების მიხედვით**

პერსონალური შეურაცხყოფა და ცილისმწამებლური განცხადებები და ბრალდებები ყველაზე ხშირად შეინიშნება პოლიტიკოსების მხრიდან ჩადენილ დარღვევებს შორის. შემთხვევების დაახლოებით 15% წარმოადგენდა შეურაცხყოფის, ბრალდების, ცილისწამების და მუქარის ნარევს.

საბოლოო ჯამში, ამგვარი განცხადებების სიმრავლე ემსახურება მხოლოდ ამომრჩევლის პოლარიზაციას და დაბნევას, ვიდრე ინფორმირებას ან დარწმუნებას. პოლიტიკური პოლარიზაციის კლასიკურ სიმპტომებს შორისაა პოპულისტური ჯგუფების პოპულარობის გაზრდა საზოგადოებაში, რადგან პოლიტიკური დებატები ასეთ დროს, ძირითადად, დაფუძნებულია პოპულისტურ ან ემოციურ, არარაციონალურ არგუმენტებზე, „ჩვენ“ და „ისინი“ დიქტომიის გააქტიურებაზე პოლიტიკურ ლექსიკონში, პოლიტიკური ოპონენტების დეჰუმანიზაციაზე და მხარდამჭერების მათ წინააღმდეგ მობილიზებაზე, ნაცვლად საკუთარი იდეების დასაბუთებისა. [21]


[20] (Interpressnews 2020b) (Interpressnews 2020c) (Interpressnews 2020d)

[21] (McCoy et al. 2018)



**გრაფა 6:** გადანაწილება დარღვევების ტიპების მიხედვით

*Category threat/hate speech includes cases when threat/hate speech took place in combination with insult, slander, or both*



განცხადებების ფაქტობრივი სიზუსტის დადგენა ამ კვლევის ფარგლებს სცდება. თუმცა, კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ განცხადებები ხშირ შემთხვევაში, არ იყო დასაბუთებული მტკიცებულებებითა და ფაქტებით, და ცილისწამებას უფრო წააგავდა, ვიდრე ოპონენტების დანაშაულებისთვის ნათელის მოფენას.

მაგალითად, ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ტოკშოუში განაცხადა:

„პარლამენტში რომ არის მთელ კალაძის საძმაკაცო და ქართული ოცნების მაჟორიტარები, ცეხავიკები და მძარცველები ამ ქვეყნის, თავის თავს მისცეს ფული სამშენებლო ბიზნესმა და მეორე ვის მისცეს ფული? დიდ სასტუმროებს.“

ჩვენ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ ამგვარი ბრალმდებლური განცხადებები, რაც ჩვეული იყო პოლიტიკოსებისთვის, შეიცავს სიმართლის ელემენტებს. თუმცა, პოლიტიკოსები იშვიათად ასაბუთებდნენ ასეთ ბრალდებებს.

საინტერესოა, რომ მაშინაც კი, როდესაც ბრალდებების შესახებ მტკიცებულებები იყო ხელმისაწვდომი (მაგალითად, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ, ასევე მედია და ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების ანგარიშები რუსთავი 2-ის საქმის შესახებ), სპიკერები არასდროს იშველიებდნენ ამგვარ დამოუკიდებელ შეფასებებს. საბოლოოდ, მოწინააღმდეგე მხარე უბრალოდ უარყოფდა ან აიგნორებდა ამგვარ განცხადებებს, ან საწინააღმდეგო ბრალდებებს წამოჭრიდა ისე, რომ ამომრჩევლისთვის რთული ხდებოდა იმის განსაზღვრა, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე დანაშაულს და რა მასშტაბით.

ერთ მაგალითში, ოპოზიციური პოლიტიკოსი, რომელმაც განაცხადა, რომ ყველა „კანონიერი ქურდი“ თანამშრომლობდა ქართულ ოცნებასთან ხმების შეგროვების მიზნით, არ მიუთითებდა დეტალებზე და ამბობდა, რომ თუ ის სახელებს დაასახელებდა, მას მოუწევდა წარედგინა შესაბამისი მტკიცებულება.

**ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კვლევა ნაკლებადაა ორიენტირებული ცრუ და ყალბი ინფორმაციის გამოვლენაზე [22] და განცხადებების უმრავლესობა შეფასებულია, როგორც დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელება, ცილისწამება და ბრალდება.**

ეს არ ნიშნავს, რომ ყალბი ახალი ამბები არ ვრცელდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. მაგალითად, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ ჩატარებული სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ Facebook-ის გვერდები, რომლებიც მმართველი პარტიის დისკრედიტაციისთვის გამოიყენებოდა, ავრცელებდნენ არაერთ ყალბ ინფორმაციას. [23]

გარკვეულ შემთხვევებში (დაახლოებით 30 ასეთი შემთხვევა გამოვლინდა), ამგვარი შეურაცხყოფისა და ბრალდებების სამიზნეები იყვნენ სხვა სუბიექტებიც, როგორცაა მედიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებული სხვადასხვა ჯგუფები. მაგალითად, მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერმა კერძო მედიაორგანიზაციის დირექტორს უწოდა ლაჩარი სექსისტური ტერმინის გამოყენებით. [24]

პოლიტიკოსები არ იყენებდნენ სიძულვილის ენას მედიაში, ასევე, არ აკეთებდნენ ქსენოფობიურ განცხადებებს. ისინი, ასევე, ნაკლებად მიმართავდნენ მუქარას ოპონენტების მიმართ ან ძალადობისკენ მოწოდებას. მონიტორინგის პერიოდში რამდენიმე მუქარა და ძალადობისკენ მოწოდება დაფიქსირდა, თუმცა მასობრივი ძალადობისკენ მოწოდება არცერთი მათგანი არ ყოფილა.

მაგალითად, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა:

“ვაფრთხილებ წულუკიანსაც, ივანიშვილსაც, გახარიასაც, კობახიძესაც და აბსოლუტურად ყველას, ხელი არ წაგიცდეთ არჩევნების გაყალბებაზე, თორემ მაგ ხელებს დაგამტვრევთ იცოდეთ.”


დარღვევების აბსოლუტური უმრავლესობა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან, მიყვებოდა ძირითად ტენდენციას და იყო ან ცილისწამება / ბრალდება, ან შეურაცხყოფა, ან ორივე ერთად. გამონაკლისი იყო საქართველოს პატრიოტთა ალიანსი: ამ შემთხვევაში, დარღვევების დაახლოებით მესამედი შეიცავდა მუქარას. საბოლოო ჯამში, მუქარისა და სიძულვილის ენის კატეგორიაში დარღვევების 29 შემთხვევიდან 11 პატრიოტთა ალიანსს ეკუთვნოდა.

[22] Fake information is hereby understood as false or misleading information deliberately presented as truth to achieve a political agenda

[23] (ISFED 2020)

[24] (Netgazeti.ge, 2020d)

**გრაფა 7:** ქცევის კოდექსის დარღვევების ტიპების გადანაწილება პარტიების მიხედვით



სიძულვილის ენის და ძალადობისკენ მოწოდების ნაკლებობა პარტიების ოფიციალური კომუნიკაციის ფარგლებში, დადასტურდა სხვა მედიამონიტორინგების ანგარიშებში. მაგალითად, EU-UNDP-ის მიერ ჩატარებული სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სიძულვილის ენის და ძალადობისკენ მოწოდებების შემცველი პოსტები არ ვრცელდებოდა პარტიების Facebook გვერდების მიერ. [25]

მიუხედავად იმისა, რომ მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ ძალადობა პოლიტიკოსების გამოსვლებში ნაკლები პრობლემა იყო, სხვადასხვა მაგალითები მიუთითებს, რომ პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ეს საკითხი ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად დგას. სამმა წამყვანმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადების სახით გაავრცელა შეფასება, რომ „წინასაარჩევნო კამპანია მნიშვნელოვნად დაზიანდა ძალადობის მაგალითებით, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ფიზიკურ დაპირისპირებაში და პარტიის ოფისებზე თავდასხმაში. დამკვირვებლებმა 20-ზე მეტი ასეთი შემთხვევა გამოავლინეს“. [26] ეს იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა, არსებობდეს განსხვავება პარტიის ოფიციალურ კომუნიკაციასა და საარჩევნო კამპანიის ტაქტიკას შორის.


[25] (Georgian Charter of Journalistic Ethics 2020, 36)

[26] (Transparency International 2020b)

## დარღვევების გადანაწილება გენდერისა და პარტიული პოზიციების მიხედვით

მამაკაცების მიერ ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტები, დაახლოებით, ხუთჯერ მეტი იყო, ვიდრე ქალების მიერ, თუმცა, ეს გამოწვეულია ქალების დაბალი წარმომადგენლობით პოლიტიკასა და პარტიების მმართველობებში. ათი პარტიიდან არცერთს არ ჰყავდა საარჩევნო სიის პირველ ათეულში სამზე მეტი ქალი, ამასთან, მაჟორიტარობის კანდიდატების 22%-ზე ნაკლები იყო ქალი. [27]

### გრაფა 8: დარღვევების გადანაწილება სქესის მიხედვით



გირჩიდან, ლეიბორისტული პარტიიდან, მოქალაქეებიდან და ქართული ოცნებიდან არცერთ ქალს ქცევის კოდექსი არ დაურღვევია. ეს კვლავ იმ ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ ქალები იშვიათად წარმოადგენენ ამ პარტიებს მედიაში. ინფორმაცია ამის შესახებ წინამდებარე კვლევის ფარგლებში არ დამუშავებულა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ის პარტიაა, სადაც დარღვევები ქალებისა და მამაკაცების მიერ თანაბრად დაფიქსირდა, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს შემთხვევაში, თითქმის ყველა დარღვევა ეკუთვნოდა ქალს, რაც მოსალოდნელი იყო, რადგან პარტიის ლიდერი ქალია.

[27] (NDI Georgia 2020a)

დარღვევების ტიპების თვალსაზრისით, პიროვნული შეურაცხყოფა და დაუსაბუთებელი განცხადებები სჭარბობდა როგორც ქალების, ისე მამაკაცების შემთხვევაში. თუმცა, თუ მამაკაცების შემთხვევაში დარღვევების ნახევარი მოიცავდა შეურაცხყოფას, იგივე ტიპის დარღვევები ქალების შემთხვევაში მესამედი იყო.

თითქმის ყველა დარღვევა ეკუთვნოდა პარტიის ლიდერებს. პრინციპების დამრღვევ საჯარო გამომსვლელთა დაახლოებით ორი მესამედი პარტიული სიის პირველ ათეულს მიეკუთვნებოდა, ხოლო ნახევარზე მეტი მაჟორიტარობის კანდიდატები იყვნენ. ქართული ოცნების შემთხვევაში, თითქმის ყველა დარღვევა დაფიქსირდა პარლამენტის მოქმედი წევრების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის პირველ ოცეულში ახალი წევრები გამოჩნდნენ, მათი მხრიდან ქცევის კოდექსის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ევროპული საქართველოს წევრების მხრიდან დარღვევების დაახლოებით 70% ეკუთვნოდა, ასევე, პარლამენტის მოქმედ წევრებს. რადგანაც სხვა პარტიების უმრავლესობა არ იყო სახელმწიფო ინსტიტუტებში წარმოდგენილი, დამრღვევი გამომსვლელების უმრავლესობა არავითარ საჯარო თანამდებობას არ იკავებდა.

## ქცევის კოდექსის დარღვევები: ჩართული მხარეების შეფასება

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების მეორე ეტაპზე რესპონდენტები (როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ისე ექსპერტები) გამოიკითხნენ კონკრეტული შემთხვევების შესახებ: რამდენად მიიჩნევენ ისინი მონიტორების მიერ დარღვევად დაფიქსირებულ კონკრეტულ მაგალითებს ქცევის კოდექსის სხვადასხვა პრინციპების გადაცდომად. ინტერვიუების მეორე ეტაპის ფარგლებში 21 რესპონდენტს (9 პარტიის წარმომადგენელს და 12 ექსპერტს) წარედგინა ჯამში 25 შემთხვევა. მათგან, ძირითადად, წარდგენილი იყო შემდეგი მუხლების დარღვევები:

- ისეთი საჯარო გამოსვლების, განცხადებების, სააგიტაციო მასალის (მედია, ვიდეო, აუდიო, სოციალური მედია, ბეჭდური) გავრცელება, რომელიც გულისხმობს ცილისწამებას, ღალატის, ტერორიზმის, ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, რომელიც სიძულვილის, დაპირისპირების და კონფლიქტის ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით წახალისებას;
- მედიასაშუალებებისთვის ცილისწამებლური, დაუსაბუთებელი ცნობების მიწოდება სხვა პოლიტიკური სუბიექტების შესახებ, ან მუქარისშემცველი, ცილისწამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადების გავრცელება ამომრჩევლის ან პოლიტიკური ოპონენტის შესახებ;

- კონკურენტი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების უფლების პატივისცემა; პოლიტიკურ ოპონენტების შესახებ მცდარი და ყალბი ინფორმაციის გავრცელება;
- სიძულვილის ენა, ქსენოფობიური ან/და მუქარის შემცველი გამონათქვამები;
- კონკურენტის ღირსების შელახვა და პირადი შეურაცხყოფა.

ქცევის კოდექსის მედიამონიტორების მიერ დაფიქსირებული დარღვევების 25 მაგალითიდანუმეტესობაანინტერპრეტაციის საგანი აღმოჩნდა, ან შეფასებებისას რესპონდენტთა აზრები გაიყო (იხ. ცხრილი 4). შვიდ შემთხვევაში წარდგენილი მაგალითი რესპონდენტების მიერ დარღვევად იქნა მიჩნეული; ექვს შემთხვევაში, მონიტორების მიერ წარდგენილი მაგალითი არ იქნა მიჩნეული დარღვევად. თითოეულ რესპონდენტს წარედგინა ორი სხვადასხვა შემთხვევა შესაფასებლად, შესაბამისად, შერჩეული შემთხვევები შეაფასა ერთზე მეტმა რესპონდენტმა.

ცხრა პარტიის წარმომადგენლებმა ჯამში 18 შეფასება გააკეთეს. რვა შემთხვევაში მათ მიიჩნიეს, რომ წარდგენილი მაგალითი ქცევის კოდექსის დარღვევა იყო, ექვს შემთხვევაში მიიჩნიეს, რომ შემთხვევა დარღვევად არ უნდა განხილულიყო, ხოლო ოთხ შემთხვევაში, რესპონდენტებს უჭირდათ იმის თქმა, იყო თუ არა მათთვის წარდგენილი მაგალითი ქცევის კოდექსის დარღვევა.

თორმეტმა ექსპერტმა ჯამში 24 შეფასება გააკეთა. თოთხმეტ შემთხვევაში, მათ წარდგენილი მაგალითი მიიჩნიეს, როგორც ქცევის კოდექსის დარღვევა, შვიდ შემთხვევაში მათთვის წარდგენილი მაგალითი არ აღმოჩნდა დარღვევა, ხოლო სამ შემთხვევაში, რესპონდენტებს უჭირდათ იმის თქმა, იყო თუ არა მათთვის წარდგენილი მაგალითი ქცევის კოდექსის დარღვევა.

**ცხრილი 4.** ქცევის კოდექსის დარღვევის შერჩეული შემთხვევების შეფასება პარტიების წარმომადგენლებისა და ექსპერტების მიერ

| რესპონდენტი               | დარღვევაა | არაა დარღვევა | აზრები გაიყო | შეფასებული შემთხვევების რიცხვი |
|---------------------------|-----------|---------------|--------------|--------------------------------|
| პარტიების წარმომადგენლები | 8         | 6             | 4            | 18                             |
| ექსპერტები                | 14        | 7             | 3            | 24                             |
| ორივე                     | 7         | 6             | 12           | 25                             |

**(1) შერჩეული შემთხვევების მაგალითები, რომელთა შესახებ აზრები გაიყო:**

„მინდა, რომ გონს მოვიყვანო ხელისუფლება, მაგრამ ახლა ვინ უნდა მოიყვანო გონს, სამწუხაროდ, აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლების წარმომადგენლებისა ერთუჭრედიანები არიან, რომლებმაც არც ელემენტარული სტანდარტი იციან და იმდენიც არ იციან, რომ გაჩუმდნენ.“

„ნაცმოდრობას პარტიული ნომერი რაც აქვს, დაახლოებით 5 ანგაჟირებული ადამიანი, კონკრეტული კრიმინალური წარსულით ცდილობდა იქ ხელი შეეშალა, მაგრამ ისინი იქ ვერასოდეს შემიშლიან ვერც მე ხელს, ვერც ჩემს თანაგუნდელებს, რომ გავაკეთოთ ის საქმე რაც ჩვენი მოვალეობაა.“

**(2) შერჩეული შემთხვევების მაგალითები, რომლებიც რესპონდენტებმა დარღვევად მიიჩნიეს:**

“რამდენიმე წუთის წინ იყო აქცია ჩვენი ოპონენტების მხრიდან, ჰქონდათ შეკრება და ცხრანლიანი სისხლიანი რეჟიმის ნოსტალგიის მერე, თუ ასე დამძიმდებოდნენ, საბჭოთა ნოსტალგია შეიპყრობდათ, ნამდვილად არ მეგონა. თუმცა, არჩევნების წინ, საბოლოოდ ლუსტრაცია მოახდინეს. მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ვერასდროს და არასდროს დაბრუნდება მოძალადე ხელისუფლება, ისე, როგორც არასდროს დაბრუნდება “სავეცკაია გრუზია.”

“ვაფრთხილებ წულუკიანსაც, ივანიშვილსაც, გახარიასაც, კობახიძესაც და აბსოლუტურად ყველას, ხელი არ წაგიცდეთ არჩევნების გაყალბებაზე, თორემ მაგ ხელებს დაგამტკრევთ იცოდეთ.“

**(3) შერჩეული შემთხვევების მაგალითები, რომლებიც რესპონდენტებმა დარღვევად არ მიიჩნიეს:**

“უცბად ამ გაბედავასთან, ამ პროპუტინისტურ ჯგუფებთან ერთად უნისონში აღმოჩნდნენ, იქ უკვე ყველამ იცის ახლა, ზუგდიდში ვინ ვინ არის, ქართული ოცნების მოზონდერო სუბიექტები ანუ ეს ხალხი ერთი და იგივე ხალხია, პატრიოტთა ალიანსი, მარში, ქართული ოცნება, აქ ყავთ მათ სულიერი ლიდერი ივანიშვილის სახით და გარეთ ჰყავთ მთავარი ლიდერი პუტინის სახით.“

მონიტორინგის შემდეგ ჩართულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების აღქმა რესპონდენტებისგან მიღებული შეფასებების ნახევარ შემთხვევაში ემთხვევა მონიტორების მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტები არ მიიჩნევდნენ მონიტორების მიერ წარდგენილ შემთხვევას დარღვევად, განმარტებები შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- ექსპერტების უმრავლესობა კონკრეტული შემთხვევის დარღვევად დაფიქსირებისას აუცილებლად მიიჩნევს **კონტექსტის** გათვალისწინებას: რას მოჰყვა დარღვევა, როგორია გარემოებები, როგორია წინასაარჩევნო ატმოსფერო, და ა.შ. შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს რიგი შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია, რომ ტექნიკურად კოდექსის კონკრეტული პრინციპის დარღვევა კონტექსტურად არ მივიჩნიოთ გადაცდომად.

- სპეციალისტებისთვის კონკრეტული შემთხვევის დარღვევად დაფიქსირება, შესაძლოა, იყოს **ინტერპრეტაციის საგანი**. ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული განცხადება შეიძლება იყოს „უპასუხისმგებლო, მაგრამ არა კოდექსის დარღვევა“. [28] ამასთან, „ზოგადად, ეთიკა ძალიან ადვილად ხდება ინტერპრეტაციის საგანი და ხშირ შემთხვევაში ეთიკური ნორმები მეტ განმარტებას საჭიროებენ“, ამიტომ ხშირად ძნელდება კონკრეტული აქტის დარღვევად მიჩნევა. [29]
- ქცევის კოდექსის პრინციპების დარღვევად აღქმის პროცესში, ექსპერტების მოსაზრებით, იმასაც გააჩნია, **ვინ აკეთებს კონკრეტულ განცხადებას**. თუკი პოლიტიკური პარტიის წევრი, ამავე დროს, თანამდებობის პირია, მისგან შეიძლება დარღვევად იყოს მიჩნეული გარკვეული დაუსაბუთებელი გამონათქვამები. თუმცა, პოლიტიკური პარტიის რიგითი წევრების მხრიდან, მსგავსი რიტორიკა “პოლიტიკური შეფასება უფროა”, ვიდრე ქცევის კოდექსის კონკრეტული პრინციპის დარღვევა. [30] ამავე კონკურენციის ნაწილი შეიძლება იყოს „სხვისი მრევლის გადაქაჩვა“ ანუ ამომრჩეველზე ორიენტირების ნაწილი, [31] რაც ქცევის კოდექსის დარღვევებს, გარკვეულწილად, სიმძაფრეს აკლებს.
- კიდევ ერთი გარემოება, რომლის მიხედვითაც ტექნიკური დარღვევა, შეიძლება, ექსპერტების მხრიდან დარღვევად არ იყოს აღქმული, არის ის, რომ ამგვარი კომუნიკაცია დღევანდელ რეალობაში **კონკურენციის ნაწილია**. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, დღეს რთულია, პოლიტიკური პარტია ისე შევიდეს პოლემიკაში, რომ კონკურენტის შესახებ მწვავე ტერმინებით არ ისაუბროს. „თუ ოპონენტზე არაფერი არ თქვი და არაფერი ილაპარაკე, რაღა პოლიტიკური კამპანია და პაექრობა არის“. [32] ზოგიერთი ტექნიკური დარღვევა კი, ხშირ შემთხვევაში, „სრულიად ჯდება ოპოზიციურ კამპანიაში“. [33] „ზოგიერთ შემთხვევაში ჰიპერტროფიული ფორმით არის წარმოჩენილი [საკითხი], თორე აბა სხვას რას აკეთებენ პოლიტიკოსები წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხო?“. [34]
- ექსპერტების მოსაზრებით, ზოგიერთი დარღვევის ამოსაცნობად მნიშვნელოვანია **ობიექტივიზაცია** და ამის გარეშე არ შეიძლება ზოგიერთი საკითხი დარღვევად მივიჩნიოთ, შესაბამისად, უნდა დავაკვირდეთ, მიემართებოდა თუ არა კონკრეტულ სუბიექტს პიროვნულად ესა თუ ის დარღვევა. ექსპერტთა მოსაზრებით, ეს იმიტომაცა საჭირო, რომ პოლიტიკური აქტორების მხრიდან გაკეთებული განზოგადებული შეფასებების დარღვევად მიჩნევა ან არმიჩნევა ერთნაირად მარტივად დასასაბუთებელი შეიძლება იყოს.

[28] ინტერვიუ ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის წარმომადგენელთან

[29] ინტერვიუ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელთან

[30] ინტერვიუ აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის წარმომადგენელთან

[31] ინტერვიუ გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელთან

[32] ინტერვიუ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელთან

[33] ინტერვიუ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელთან

[34] ინტერვიუ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელთან



- და ბოლოს, მორიგი განმარტება, რის გამოც შეიძლება ქცევის კოდექსის პრინციპების ტექნიკური დარღვევა, შესაძლოა, არ იქნეს მიჩნეული დარღვევად, არის **გადაცდომის სიმძიმის ხარისხი** სხვა მძიმე დარღვევების ფონზე. მეორდება რეაქციები ექსპერტთა შორის რომლის მიხედვითაც, ზოგიერთი დარღვევა „არაფერია იმასთან შედარებით“ რაც, ზოგადად, პოლიტიკურ ველზე ხდება. და ზოგიერთ შემთხვევაში, კომუნიკაციის ის სახე, რომელიც ტექნიკურად ქცევის კოდექსის პრინციპების დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ, არის „უწყინარი კრიტიკა“. [35]

იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ მიიჩნევენ მონიტორების მიერ წარდგენილ შემთხვევას დარღვევად, განმარტებები შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- განსაკუთრებით დაძაბული ქართული **პოლიტიკური რეალობის** თავისებურებები არის ის ყველაზე ხშირი ფაქტორი, რომლის გამოც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ნაწილი გარკვეულ დარღვევას დარღვევად არ მიიჩნევს. ამ მიმართულებით, ორი საკითხი შეიძლება გამოვყოთ: არაჯანსაღი პარტიული კონკურენცია პარტიას არ უტოვებს სხვა გზას და ამ მიმართულებით ბრძოლას აიძულებს, თუმცა, ამავე დროს, ამგვარი ფრაზებით და პათოსით ერთმანეთთან კომუნიკაციაში შესვლა არის „მოთხოვნადი“. [36] „რომ იყოს კარგი ატმოსფერო, რომ დაფიქრდე, ნორმალურ ქვეყანაში ასეთი ფრაზების გამო ბოდიშს იხდიან პოლიტიკოსები“. [37] „სხვა ბერკეტი უბრალოდ არ მაქვს“. [38]
- ექსპერტების მსგავსად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვისაც აქტუალურია **პოლიტიკური შეფასების და კონკურენციის** ფაქტორი. „თუ შეფასებაში შედიხარ და ვინმეს უწოდებ <ფაშისტს> ან მოძალადეს, ეს დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს“. [39] ზოგჯერ კონკრეტული არაეთიკური კომუნიკაცია „მოსასმენად სასიამოვნო არ არის, მაგრამ პარტიული [ინტერესიდან] გამოვდივართ, და არა პიროვნულიდან“. [40]
- ნიშანდობლივია, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ზოგიერთ შემთხვევაში, დარღვევად მიჩნეული განცხადების **შინაარსობრივ სისწორეზე** აკეთებენ აქცენტს. მათი თქმით, ზოგიერთი განცხადების დასაბუთება შეიძლება ყოველთვის არ მოხერხდეს, მაგრამ ისეთ საკითხებზე მიმდინარეობდეს ლაპარაკი, რაც საზოგადოებაში ისედაც „ყველამ იცის“. [41] სხვანაირად, „გამოდის, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, თუ არ არის სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი, შეგვიძლია ცილისწამებად გამოვაცხადოთ“. [42]

[35] ინტერვიუ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელთან

[36] ინტერვიუ პარტია მოქალაქეების წარმომადგენელთან

[37] ინტერვიუ პარტია ქართული ოცნების წარმომადგენელთან

[38] ინტერვიუ პარტია საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთან

[39] ინტერვიუ პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელთან

[40] იქვე

[41] ინტერვიუ პარტია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთან

[42] ინტერვიუ პარტია სტრატეგია აღმაშენებლის წარმომადგენელთან

- ზოგიერთ შემთხვევაში, პარტიების წარმომადგენლების მიერ დარღვევის არსებობის უარყოფა უკავშირდება ასევე კონკრეტული **აქტის კონტექსტს**. ამ მხრივ, ეს არგუმენტაცია მნიშვნელოვნად ემსგავსება ექსპერტებისას. კონკრეტულ სიტუაციაში გააჩნია არა იმას, თუ როგორ პასუხობ, არამედ იმას, თუ რას პასუხობ - ზოგიერთ შემთხვევაში გარშემო იმდენად აშკარა და მიუღებელი დარღვევა ხდება, რომ შეუძლებელია, იგივეთი არ უპასუხო. [43]
- ბოლო საკითხი, რის გამოც პარტიის წარმომადგენელმა, შესაძლოა, დარღვევა არ აღიქვას გადაცდომად, არის გარკვეული **ტერმინების განმარტების საჭიროება** ქცევის კოდექსში. ყველაზე აქტიურად ეს ცილისწამების საკითხს ეხება, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიები ცილისწამების აღქმას არ ეთანხმებიან დოკუმენტის შემქმნელების მხრიდან და არა იმას, რომ მათ ეს კონკრეტული მუხლი დაარღვიეს.

მეორე მხრივ, ექსპერტებთან და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან ჩატარებული დისკუსიების საფუძველზე, შეგვიძლია, შევაჯამოთ ის საერთო მიზეზები, რასაც რესპონდენტები - როგორც საექსპერტო, ისე პოლიტიკური წრეებიდან - მიიჩნევენ ქცევის კოდექსის პრინციპების დარღვევის უმთავრეს ფაქტორებად. მათ შორისაა:

- მმართველი პარტიის ხელში თავმოყრილია ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები, რომლითაც მას შეუძლია საარჩევნო პროცესების კონტროლი;
- პოლიტიკური პარტიებისთვის მთავარი მიზანი ხდება ამომრჩევლის ემოციურად მობილიზება, ე.წ. „გამოყვანა“ აგრესიული და ემოციურად მოტივირებული კომუნიკაციის გამოყენების გზით;
- პარტიების მხრიდან არსებობს შიში იმისა, რომ ბრძოლის სხვა მეთოდებით ვერც ამომრჩევლის ყურადღებას მიიქცევენ და ვერც დომინანტ აქტორებს გაუწევენ კონკურენციას;
- პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ძლიერი და გამართული პროგრამები. შესაბამისად, მათთვის ემოციური, აგრესიული და ნეგატიური ტონი ოპონირებას ხშირად უფრო მარტივს ხდის.

## ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასება

პოლიტიკური პარტიების მიერ ქცევის კოდექსის პრინციპების აღსრულების ანგარიშში წარმოდგენილ დინამიკას, საჭიროა, შევხედოთ საარჩევნო გარემოს უფრო ფართო შეფასებების კონტექსტში. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში აქტიურად აკვირდებოდნენ როგორც ადგილობრივი ორგანიზაციები, ისე საერთაშორისო წარმომადგენლობები.

[43] ინტერვიუ პარტია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთან

წინასაარჩევნო გარემოს შეფასების თვალსაზრისით, არაერთი ანგარიში გამოქვეყნდა ქვეყანაში მედია-გარემოს, პოლიტიკური კონკურენციის, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით. სხვადასხვა შეფასებებისა და დოკუმენტების მიმოხილვის შედეგად, შეგვიძლია დავინახოთ ის წინასაარჩევნო კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ქვეყნის კოდექსის პრინციპების აღსრულება.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში ზოგადი შეფასებების ტენდენციას თუ შევხედავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, წინასაარჩევნო გარემო ბევრად ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი და გამართულია. [44] საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ტექნიკური შეფასების მისიის შუალედური ანგარიშის მიხედვით (IRI - TEAM), მისასაღმებელია საარჩევნო სისტემის მოდიფიკაცია, [45] რის შედეგადაც საარჩევნო სისტემა უფრო პროპორციულსკენ გადაიხარა, ამავდროულად, საარჩევნო კოდექსში გატარებული ის ცვლილებები, რომლებიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად იქნა გათვალისწინებული. [46] თუმცა, საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, ყველა ეს მიღწევა, რომელსაც შედეგად დაბალანსებული და მრავალპარტიული პარლამენტი უნდა მოეტანა, გადაფარა სხვადასხვა ტიპის გადაცდომებმა, რამაც დააზიანა ჯანსაღი პოლიტიკური გარემოსკენ მისწრაფების პროცესი.

ერთობლივ და ინდივიდუალურ დაკვირვებას და შეფასებებს აწარმოებდნენ ადგილობრივი სადამკვირვებლო ინსტიტუტებიც. ხმის მიცემის დღემდე ორი დღით ადრე, ჟურნალისტურმა ქარტიამ, საერთაშორისო გამჭვირვალობამ და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ გამოაქვეყნეს წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება. შეფასების მიხედვით, პანდემიურ პირობებში არ არსებობდა მკაფიო ზღვარი სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის, რაც არაჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას უწყობდა ხელს. შეფასებაში პრობლემადაა მიჩნეული პერიოდულად დაფიქსირებული ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ასევე ზეწოლის, მუქარისა და ხელის შეშლის შემთხვევები. ადგილი ჰქონდა მედიის წარმომადგენლებისთვის როგორც ხელის შეშლას და მუქარას, ასევე, ფიზიკურ ძალადობას. წინასაარჩევნო კამპანია მაღალი პოლარიზების და პარტიების/კანდიდატების ურთიერთბრალდებების ფონზე წარიმართებოდა, რასაც ხელს უწყობდა პოლარიზებული მედია-გარემო და სოციალურ მედიაში მიმდინარე მზარდი ანონიმური დისკრედიტაციის დასპონსორებული საინფორმაციო კამპანიები. [47]

[44] (OSCE/ODIHR 2020)  
(IRI 2020)  
(NDI Georgia 2020b)

[45] (Civil.ge 2020e)

[46] (IRI 2020)

[47] (Transparency International 2020b)

პოლიტიკური ჯგუფების მენისტრიმული გზავნილები კრიტიკულად იყო გაანალიზებული მედიის ინსტიტუტის მიერ პროპაგანდის ჭრილში. ორგანიზაციის მიგნებებს შორის იყო დარღვევები, რომლებიც, უმეტესწილად დაკავშირებული იყო კონკრეტულ ორგანიზაციებზე და ინდივიდებზე თავდასხმასთან და მათ დემონიზებასთან. ანგარიშის მიხედვით, მწირი ფაქტობრივი არგუმენტები და ფალსიფიცირებული მტკიცებულებები იყო ის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ოპოზიციისთვის პრორუსულობის დაბრალების მიზნით, რაც, ქცევის კოდექსის პრინციპების მიხედვით, პოლიტიკური მეტოქის მიმართ ცილისწამების მუხლის დარღვევაა. ყალბი დაპირებების გაცემის შემთხვევები, ასევე, დასახელდა როგორც პარტიების კომუნიკაციის სტრატეგიის საკმაოდ ხშირი ელემენტი. ანგარიშმა, ამავედროულად, გამოავლინა ქცევის კოდექსის კონკრეტული ნორმების პერიოდული დარღვევები, მათ შორის, საგნობრივი კამპანიის წარმართვის, მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის, არალეგალურად მოპოვებული და /ან ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით. ანგარიში შეეხო, ასევე, იმ მუხლს, რომელიც ითვალისწინებს თავის შეკავებას ისეთი საჯარო გამოსვლების, განცხადებების, სააგიტაციო მასალის გავრცელებისგან, რომელიც გულისხმობს ცილისწამებას, ღალატის, ტერორიზმის, ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, რომელიც წაახალისებს სიძულვილს, დაპირისპირებას, და საარჩევნო კამპანიის წარმართვას დისკრიმინაციის გარეშე. [48]

თითქმის ყველა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ანგარიში ხაზს უსვამს შესამჩნევად პოლარიზებულ გარემოს საქართველოს პოლიტიკურ და მედიასივრცეში. კვლევის ამ ნაწილში განხილული ანგარიშების უმეტესობა არ მიემართება უშუალოდ ქცევის კოდექსის პრინციპების დარღვევას, თუმცა, როგორც წესი, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ანგარიშებში ასახული კრიტიკა შესაბამისობაშია კოდექსის პრინციპებთან. ეს გამოიკვეთა კვლევის ფარგლებში ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდანაც: პოლარიზაციის საკითხი პრობლემადაა მიჩნეული ეუთო/ოდირის და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ანგარიშებში. [49] საერთაშორისო დამკვირვებლების ხედვით, პოლარიზაცია არსებობს როგორც საზოგადოებაში, ისე მედიასა და პოლიტიკურ სივრცეში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია პოლარიზაციის ხარისხის წამახალისებელ აქტივობებზე გაკეთებული აქცენტები, რასაც, განსაკუთრებით გამოკვეთილად ადგილი ჰქონდა სოციალურ მედიაში, [50] თუმცა, სხვადასხვა ანგარიშებში მოხვდა პოლარიზაციის საკითხი ტრადიციულ მედიაშიც. ნეგატიური გაშუქება და გადაუმოწმებელი ინფორმაცია ერთ-ერთ უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორად რჩება საქართველოში პოლარიზებული წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოს წარმოქმნისთვის. [51]

[48] (Media Institute 2020)

[49] (OSCE/ODIHR 2020)  
(NDI Georgia 2020b)

[50] (ISFED 2020b)

[51] (Institute of Development of Freedom of Information 2020)  
(Public Broadcaster 2020)

უნდა აღინიშნოს, რომ მედიის, როგორც წინასაარჩევნო ატმოსფეროზე მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი აქტორის, შესახებ მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა კომუნიკაციის ეროვნულმა სააგენტომაც. სააგენტო აკვირდებოდა წინასაარჩევნო რეკლამას, წინასაარჩევნო დებატებს, ახალ ამბებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს, წინასაარჩევნო აგიტაციას და საზოგადოებრივი აზრის კვლევებს/გამოკითხვებს. ანგარიშის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლები მეტნაკლებად დაბალანსებული მიმდგომით გამოირჩევიან საარჩევნო სუბიექტების გაშუქებისას, თუმცა, კრიტიკის საგანია სხვა მსხვილი სატელევიზიო მაუწყებლობები. კრიტიკის საფუძველი, ძირითადად, არის არათანაბარი სატელევიზიო დრო, მიკერძოებული და სუბიექტურად კრიტიკული მიდგომები, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებებითაა განსაზღვრული. [52] წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქებასთან დაკავშირებით ანგარიში გამოაქვეყნა საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც, რომლის შეფასების საგანი იყო მხოლოდ მაუწყებლობის ფარგლებში მოქცეული ერთეულები. ანგარიშის ძირითადი მიგნებების მიხედვით, საინფორმაციო პროგრამებში საარჩევნო სუბიექტები შუქდება მათი აქტივობების შესაბამისად; ანალიტიკურ გადაცემებსა და ტოქშოუებში მეტი აქცენტი კეთდება იმ პარტიების გაშუქებაზე, რომლებიც პოლარიზებული საარჩევნო და მედიაგარემოს პირობებში ამომრჩეველთა ყურადღების მიღმა რჩებიან; ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ნეიტრალურია. [53]

კიდევ ერთი საკითხი, რის შესახებაც დამკვირვებლების უმრავლესობა თანხმდება, არის ის, რომ საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს დამაზიანებელ ტრადიციულ ფაქტორებს შორის არის ძალადობის და ნეგატიურ კამპანიაზე ორიენტირებული აქტივობები. წინასაარჩევნო პერიოდში ფიქსირდება პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ძალადობის, საარჩევნო სუბიექტების მადისკრედიტებელი ან მათ მხარდასაჭერად მოქმედი ცრუ ანგარიშების ფაქტები. [54] ძალადობით და ნეგატიური რიტორიკით გაჯერებული კამპანიის ინტენსივობამ უფრო მეტად იმატა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად. [55] ამ ფონზე, ასევე, ტრადიციულ გამონწვევად არის მიჩნეული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების სხვადასხვა მექანიზმები.

[52] (Communication Commission 2020)

[53] (Public Broadcaster 2020)

[54] (ISFED 2020c)

(ISFED 2020c)

(IRI 2020)

[55] (NDI Georgia 2020b)

მაგალითისთვის, შეგვიძლია, მოვიყვანოთ სხვადასხვა მონიტორინგის შედეგად მითითებული ფაქტები - დამკვირვებლებზე ზეწოლის მცდელობები, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით მუქარის და ზეწოლის ფაქტები, ამომრჩევლის მოსყიდვის და ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებით გამოყენების ფაქტები, საჯარო ინსტიტუტების პოლიტიზება და მობილიზება საარჩევნო მიზნებით და სხვა. [56] ამ მიმართულების საგამოძიებო ინსტიტუტების ეფექტიანობაზე სვამს აქცენტს საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევა, რომლის ანგარიშში ყურადღების ქვეშ არის არაეფექტიანი გამოძიება ისეთ შემთხვევებში, როგორცაა პოლიტიკური ნიშნით ძალადობის ფაქტები, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები, საგამოძიებო უწყებების გამოყენება პოლიტიკური აქტორების დისკრედიტაციისთვის და ა.შ. [57] ყურადღებას იმსახურებს, ასევე, ინსტიტუციური და ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის ჩართვაც წინასაარჩევნო პროცესში, მაგალითისთვის, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების აგიტაციაში გამოყენება. [58] ამ მიმართულებით პრობლემებს უსვამს ხაზს ეუთო-ოდირის დასკვნაც, სადაც ხაზგასმულია ბუნდოვანი მიჯნა მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის, მმართველი პარტიის წარმომადგენლების დომინაცია საარჩევნო კომისიებში, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ჯანსაღ წინასაარჩევნო პროცესზე. [59]

პარალელურად, საერთაშორისო სადამკვირვებლო ანგარიშებში ხაზგასმულია ისეთი ტრადიციული გამოწვევები, როგორცაა ტრადიციულად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლობა წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებში. [60] ეუთო/ოდირის შეფასებით, ჯანსაღ წინასაარჩევნო გარემოს ხელს უშლის ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა კამპანიაში, თუმცა, მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობებისთვის საარჩევნო გარემო ბევრად ინკლუზიურია, ეს ინკლუზიურობა შეზღუდულია მხოლოდ უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის. [61]

საინტერესოა, რომ ინკლუზიურობის საკითხი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან განსხვავებულადაა აღქმული: ინტერვიუების პირველი რაუნდის ფარგლებში, ყველა პარტიის წარმომადგენელი აღიქვამდა, რომ ინკლუზიურობის ხარისხი მათ პარტიებში მაღალი იყო. ისინი ქალების, ახალგაზრდების და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას წინასაარჩევნო კამპანიაში მათი პარტიების ნიშად და მთავარ მახასიათებლად მიიჩნევდნენ. ქართულმა ოცნებამ დააინიცირა გენდერული კვოტები. პარტიისთვის კიდევ ერთი საზომი ქალთა ჩართულობის ინტენსივობისთვის წინასაარჩევნო პრეზენტაციების დროს მათი სცენაზე გამოჩენა იყო.

[56] (ISFED 2020b)  
 (Transparency International 2020c)  
 [57] (Transparency International 2020c)  
 [58] იქვე  
 [59] (OSCE/ODIHR 2020)  
 [60] (IRI 2020)  
 [61] (OSCE/ODIHR 2020)

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ მათი საარჩევნო პროგრამა ქალების წვლილისა და მონაწილეობის შედეგია. რვა გამოკითხული პარტიიდან ორ პარტიას შექმნილი აქვს სპეციალური ერთეულები ქალებისთვის. ახალგაზრდების მონაწილეობა, უმეტესად, შემოიფარგლება კანდიდატების დახმარებით, სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებით და პარტიის კამპანიაში მონაწილეობით (რვიდან ხუთი პარტია). რაც შეეხება, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას, პარტიების წევრები, უმეტესად, საუბრობდნენ აფხაზ, ქურთ და უკრაინულ წარმომადგენლობებს, თუმცა, იშვიათად იყო დასახელებული აზერბაიჯანული და სომხური თემების წევრები.

ამგვარად, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებული სხვადასხვა შეფასებების, მონიტორინგისა და გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით, შეგვიძლია გამოვკვეთოთ ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც, წინასაარჩევნოდ დაძაბულ და პოლარიზებულ პერიოდში ტრადიციული, გრძელვადიანი და ჯანსაღი გარემოსთვის ზიანისმომტანი ხარვეზები ჯერ კიდევ არსებობს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა ბერკეტები, რომლებიც საარჩევნო სუბიექტებს უბიძგებს, რაც შეიძლება მეტად იმუშაონ გამჭვირვალე, დაბალანსებულ და სამართლიან კონკურენციაზე დაფუძნებული წინასაარჩევნო გარემოს შექმნისათვის. ამგვარ ბერკეტებს შორისაა წინასაარჩევნო ქცევის კოდექსი - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და შვეიცარიის საელჩოს ცესკოსთან თანამშრომლობის შედეგად მიღებული დოკუმენტი, რომლის პრინციპების საფუძვლიანი აღსრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სხვადასხვა ანგარიშებში ასახული დარღვევების დაბალანსებას და მათი ზიანისმომტანი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას წინასაარჩევნო გარემოზე.

## დასკვნა და რეკომენდაციები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს ხელი 40-მა პარტიამ მოაწერა. საბოლოო ჯამში, პოლიტიკური პარტიები ისევე, როგორც ექსპერტები და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიესალმებიან პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის პრინციპების შემოღებას ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. გრძელვადიან პერსპექტივაში, ქცევის კოდექსი, შესაძლოა, გახდეს პოლიტიკური ტრადიციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის დარღვევაც დამაზიანებელი იქნება პარტიის იმიჯისთვის, რაც, შესაბამისად, ხელს შეუწყობს დოკუმენტის ვალდებულებების შესრულებას პარტიებისა და, ზოგადად, პოლიტიკური აქტორების მიერ.

რაც შეეხება, 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ქვევის კოდექსის აღსრულებას, დოკუმენტს წინასაარჩევნო პროცესში ფუნდამენტური გარდატეხა არ მოუხდენია: წინასაარჩევნო გარემოში მრავლად გვხვდებოდა ქვევის კოდექსის დარღვევის შემთხვევები ყველა წამყვანი პარტიის მიერ. ასევე, კოდექსის აღსრულებისა და მონიტორინგისთვის პოლიტიკურ პარტიებს არ შეუმუშავებიათ ახალი შიდაპარტიული მექანიზმი/ერთეული და არც კონკრეტული ინსტრუქციები გაუციათ კოდექსით აღებული ვალდებულებების შესახებ. მეტიც, ზოგიერთი პარტია საერთოდ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ პარტიამ ხელი მოაწერა ქვევის კოდექსს. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც პარტიის წარმომადგენლები არ იცნობდნენ დოკუმენტის შინაარსს ან არ იცოდნენ სხვა ხელმომწერი სუბიექტების შესახებ.

მედიამონიტორინგის შედეგად, დაფიქსირდა ქვევის კოდექსის 300-ზე მეტი დარღვევა როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან. დარღვევები, ძირითადად, მოიცავდა პირადშეურაცხყოფას ან დაუსაბუთებელ განცხადებებსა და ბრალდებებს. შედარებით ნაკლებად გავრცელებულ დარღვევებს შორის იყო სიძულვილის ენის გამოყენება და ძალადობისკენ მოწოდება. კვლევის შედეგად არ მომხდარა ყალბი ინფორმაციის გავრცელების ფაქტების დაფიქსირება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ელექტორალურად და ორგანიზაციულად დიდი პარტიები ყველაზე ნაკლებად ხასიათდებოდნენ საგნობრივი, პროგრამაზე და პრობლემაზე ფოკუსირებული გამოსვლებით სატელევიზიო ეთერებში. თუმცა, ამ შემთხვევაში, პარტიების როლის გარდა, მნიშვნელოვანია მედიის როლიც, რადგან სხვადასხვა გადაცემები სხვადასხვა დობით ახალისებდნენ საგნობრივ, პროგრამაზე და საკითხზე დაფუძნებულ მსჯელობას.

მედია არ არის პასიური აქტორი, რომელიც უბრალოდ ირეკლავს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას. კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, მიზეზ-შედეგობრიობაზე ვერ ვისაუბრებთ, თუმცა გამოიკვეთა საინტერესო ასოციაცია ტელევიზიებსა და პარტიებს შორის. მაგალითად, მმართველი პარტიის წარმომადგენლების გამოსვლები, ძირითადად, ტელევიზიისა და რუსთავი 2-ის ეთერებიდან მომდინარეობდა მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიების გამოსვლები იმედის ეთერში ნაკლებად ხვდებოდა (არ იგულისხმება ახალი ამბების გადაცემები).

ქვევის კოდექსის დამკვიდრება წინგადადგმული ნაბიჯია იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს პოლიტიკოსების, აქტივისტებისა და მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას თამაშის წესების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას საკმაოდ მრავლად დაფიქსირდა კოდექსის დარღვევების შემთხვევები და არც პარტიებს გაუწევიათ საკმარისი ძალისხმევა კოდექსის შიდაპარტიულ სტრუქტურებში ინტეგრირებისთვის, გრძელვადიან პერსპექტივაში ქვევის კოდექსი ხელს შეუწყობს სამართლიანი და ამომრჩეველთა ინფორმირებაზე დაფუძნებული წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებას.



## რეკომენდაციები

### პოლიტიკური პარტიებისთვის:

- უზრუნველყონ ეფექტიანი შიდაპარტიული კომუნიკაცია ქცევის კოდექსის ნორმებთან და შინაარსთან დაკავშირებით. გასცენ კონკრეტული ინსტრუქციები, რაც ხელს შეუწყობს ქცევის კოდექსის შესახებ ცნობიერების ამაღლებას პარტიის შიდა სტრუქტურებში;
- შეიმუშაონ და დანერგონ ქცევის კოდექსით აღებული ვალდებულებების აღსრულებისა და მონიტორინგის ქმედითი შიდაპარტიული მექანიზმი, რომლის მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება შიდაპარტიული რეგულაციებით;
- პარტიების აქტიური ჩართულობით და ცესკოსთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნას ინტერპარტიული კომუნიკაციის მუდმივმოქმედი პლატფორმა („ინტერპარტიული საბჭო“), რომელიც უზრუნველყოფს პარტიათაშორის კომუნიკაციას ეთიკის ნორმებზე შეთანხმების, მათი ერთობლივი გააზრების, დარღვევების პრევენციის, დაფიქსირებისა და ადეკვატური რეაგირების თვალსაზრისით;
- ქცევის კოდექსის მუხლების განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის შემთხვევაში, ინტერპარტიული პლატფორმის ფარგლებში, მოხდეს მსჯელობა ქცევის კოდექსის ბუნდოვანი პუნქტების მეტად განსამართად, რაც ხელს შეუწყობდა დარღვევების პრევენციას;
- ტრადიციული ნეგატიური კამპანიების ნაცვლად, საზოგადოებას შესთავაზონ უფრო ძლიერი პოზიტიური დღის წესრიგი ქცევის კოდექსის არსისა და პრინციპების მხარდასაჭერად. ეს, ამავდროულად, ასახავდა ამომრჩეველთა დადებით განწყობას პოზიტიური კამპანიის მიმართ, როგორც საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით ჩანს.

### ცესკოსთვის:

- მიიღოს კონკრეტული, შედეგზე ორიენტირებული ზომები ნდობის და თანამშრომლობის მაღალი ხარისხის მისაღწევად პოლიტიკურ გარემოში, რაც გამიზნული იქნება პარტიებს შორის კომპრომისის მიღწევისთვის;
- ინიცირება და ორგანიზება გაუწიოს ნეიტრალური პლატფორმის შექმნას („ინტერპარტიული საბჭო“) იმ პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც წამოჭრიან და განიხილავენ ქცევის კოდექსის შინაარსთან დაკავშირებულ საკითხებს, დისკუსიას მონიტორინგის მექანიზმებისა და დარღვევების შესახებ. მსგავსი ნეიტრალური პლატფორმა ხელს შეუწყობდა კოდექსის ვალდებულებების უკეთ აღსრულებას და მონიტორინგს. კარგი იქნებოდა ინტერპარტიული საბჭოს მუშაობაში, პარტიების წარმომადგენლების გარდა, ძირითადი მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართვა;

- ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების, მედიის და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას ქცევის კოდექსის შინაარსის შესახებ, რათა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ანგარიშვალდებულების შეგრძნება საზოგადოების წინაშე გაიზარდოს;
- საარჩევნო პროცესების კვლევასა და მონიტორინგში ჩართული ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შექმნას რეგულარული საინფორმაციო ფორმატი საარჩევნო სუბიექტების მხრიდან ქცევის კოდექსის დარღვევების შესახებ კომუნიკაციის მიზნით. ცესკომ უნდა მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ქცევის კოდექსის და მისი აღსრულების შესახებ დამკვირვებელ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ისე, რომ საარჩევნო მონიტორინგი და საერთაშორისო დამკვირვებლები თავისი ყურადღების ქვეშ აქცევდნენ დოკუმენტის პრინციპებს.

**საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორებისთვის:**

- მიუხედავად იმისა, რომ ქცევის კოდექსის გავლენა შეზღუდულია, პოლიტიკური კულტურის ცვლილება გრძელვადიანი პროცესია და პრობლემების მოკლევადიანი გადაჭრა მოსალოდნელი არ არის. საერთაშორისო საზოგადოებამ და დონორებმა უნდა განაგრძონ დიალოგში ჩართულობა და წვლილის შეტანა კომპრომისზე დაფუძნებული ურთიერთობების მშენებლობაში პოლიტიკურ პარტიებს შორის. მუდმივი მხარდაჭერა კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია საქართველოში მოქმედ სხვა საერთაშორისო აქტორებთან თანამშრომლობით;
- ქცევის კოდექსის შესახებ განხილვების ინიცირება არჩევნებამდე გარკვეული ხნით ადრე საშუალებას მისცემდა პარტიებს დოკუმენტის შესახებ დისკუსიისთვის, პრინციპებზე შეთანხმებისთვის, პარტიების წევრებთან კომუნიკაციისთვის და აღსრულების და მონიტორინგის მექანიზმების შექმნისთვის;
- მხარი დაუჭირონ რეგულარული ფორუმის (“ინტერპარტიული საბჭო”) შექმნას პოლიტიკურ პარტიებს შორის ეთიკის ნორმების განსახილველად - მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით; მნიშვნელოვანია, ასევე, პოლიტიკურ პარტიებს შორის კომპრომისის ნახალისებაზე ფოკუსირება;
- უზრუნველყონ პირდაპირი / ორმხრივი ჩართულობა პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ქცევის კოდექსის უკეთესი აღსრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების განხილვის მიზნით;
- იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონკურენტუნარიანი და სამართლიანი საარჩევნო გარემო და გაიზარდოს პასუხისმგებლობის გრძნობა პოლიტიკურ პარტიებს შორის, ასევე, ქცევის კოდექსის ეფექტიანობა, მნიშვნელოვანია:

- ძირითადი მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების მეტი ჩართულობის ნახალობა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას ქცევის კოდექსის მნიშვნელობის შესახებ;
  - უახლოესი არჩევნებისთვის განაგრძონ კვლევებისა და საჯარო განხილვების მხარდაჭერა, რათა პარტიების მიერ კოდექსის აღსრულების დინამიკა მუდმივი დაკვირვების საგანი გახდეს, რაც ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდას;
  - მხედველობაში მიიღონ ქცევის კოდექსი საარჩევნო მონიტორინგის ანგარიშებში, ასახონ ეთიკური პრინციპები მათ მოხსენებებში პოლიტიკური კამპანიის შესახებ;
  - ქართული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, სასურველია, რომ დავინროვდეს ქცევის კოდექსის ფოკუსი დარღვევების მნიშვნელობის და ხარისხის მიხედვით, რადგან პარტიებს შორის არსებობს აღქმა, რომ კოდექსი არის საკმაოდ ზოგადი და ყოვლისმომცველი და მისი ზოგიერთი ნაწილი ისედაც რეგულირდება სხვა ნორმებით. უნდა დავინროვდეს ქცევის კოდექსის ენა, განისაზღვროს ტერმინები დოკუმენტში, რათა ნაკლები სივრცე იყოს ინტერპრეტაციისთვის;
  - უზრუნველყონ უახლოეს არჩევნებში ჩართულ ძირითად მედიასაშუალებებთან აქტიური კომუნიკაცია, რადგან სასურველია მათი აქტიური ჩართულობა ქცევის კოდექსის შესახებ დისკუსიაში. ეს, შესაძლოა, მოხერხდეს ახალი დოკუმენტის შემუშავებით. რასაც ხელს მოაწერდნენ მედიის წარმომადგენლები. დოკუმენტი შინაარსობრივად და პრინციპულად მიბმული იქნება არსებულ ქცევის კოდექსზე, თუმცა განსხვავებული იქნება ვალდებულებების თვალსაზრისით;
- სხვადასხვა აქტივობების - დებატების, კონფერენციების, საჯარო დისკუსიების - დაგეგმვა და ორგანიზება, რათა მაქსიმალურად გაუზიარონ პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საერთაშორისო გამოცდილება ქცევის ნორმების აღსრულების, მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით.

**სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებებისთვის:**

- მხედველობაში მიიღონ ქცევის კოდექსი საარჩევნო მონიტორინგის ანგარიშებში, ასახონ ეთიკური პრინციპები თავიანთ მოხსენებებში პოლიტიკური კამპანიის შესახებ;
- მედიაორგანიზაციებს შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ ქცევის კოდექსის მონიტორინგის შედეგების გავრცელებაში;
- მხარი დაუჭირონ ეთიკურ კამპანიას პოლიტიკურ პარტიებთან ყოველდღიური კომუნიკაციის ფარგლებში, შექმნან მოლოდინი ქცევის კოდექსის აღსრულების მიმართ. გაიაზრონ საკუთარი როლი მომდევნო არჩევნებისთვის და ქცევის კოდექსის აღსრულების დაწყების პროცესში;

- უზრუნველყონ ფართო საზოგადოების ინფორმირებულობა ქცევის კოდექსის არსებობის, მისი შინაარსის და აღსრულების გამონწვევების შესახებ;
- ხელი შეუწყონ პოლიტიკური პროცესების დეპოლარიზაციის პროცესს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს ქართული საზოგადოების შესაბამის მომწიფებულობას, გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება მხარს უჭერს მრავალპარტიულ პარლამენტს და კონსენსუსზე დაფუძნებულ პოლიტიკას ნაცვლად პოლარიზაციისა და ერთპარტიული პოლიტიკისა. შესაბამისად, სასურველია, თუ ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები გაითვალისწინებენ ამომრჩევლის დამოკიდებულებებს ეთიკური კამპანიის მიმართ თავიანთ კვლევებში.

## გამოყენებული ლიტერატურა

CEC. 2020a. "განცხადება 2020 წლის პარლამენტისარჩევნებისთვის პოლიტიკურიპარტიების ქცევისკოდექსის შესახებ". Available at: <https://cesko.ge/geo/list/show/120167-gantskhadeba-2020-tslis-parlamentis-archevnebisvis-politikuri-partiebis-qtsevis-kodeqsis-shesakheb-> Accessed on: February 7, 2021;

CEC. 2020b. "პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი", Available at: <https://cesko.ge/res/docs/CoC-final.pdf> Accessed on: February 7, 2021;

CEC. 2020c. "საარჩევნო ადმინისტრაცია სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ყველა ჯგუფს შესაბამის მომსახურებას სთავაზობს." Available at:[https://cesko.ge/geo/list/show/121639-saarchevno-administratsia-statsionarul-samkurnalo-datsesebulebebsa-da-izolatsiashi-mkofi-amomrchevlebis-kvela-djgufs-shesabamis-momsakhurebas-stavazobs?fbclid=IwAR3meLCrV1YqiiEH4PSIxGKA-1YZE2IojPTp7BisvKYyz33tO9njz\\_qL20](https://cesko.ge/geo/list/show/121639-saarchevno-administratsia-statsionarul-samkurnalo-datsesebulebebsa-da-izolatsiashi-mkofi-amomrchevlebis-kvela-djgufs-shesabamis-momsakhurebas-stavazobs?fbclid=IwAR3meLCrV1YqiiEH4PSIxGKA-1YZE2IojPTp7BisvKYyz33tO9njz_qL20) Accessed on: February 7, 2021;

CEC. 2020d. "რეგისტრირებული პარტიული სიები" Available at: <https://cesko.ge/geo/list/show/120858-registrirebuli-partiuli-siebi-> Accessed on: February 7, 2021

Civil.ge. 2020a. "არჩევნები 31 ოქტომბერს ჩატარდება Available at:<https://civil.ge/ka/archives/364332> Accessed on: February 7, 2021;

Civil.ge. 2020b. „ეუთო/ოდირი არჩევნებისთვის სადამკვირვებლო მისიას აუქმებს“ Available at:<https://civil.ge/ka/archives/374772> Accessed on: February 7, 2021;

Civil.ge. 2020c. "არჩევნები პანდემიის პირობებში: ვინ დააკვირდება ოქტომბრის არჩევნებს საქართველოში?" Available at:<https://civil.ge/ka/archives/370331> Accessed on: February 7, 2021;

Civil.ge. 2020d. "შსს – ყველა მძევალი თავისუფალია, სპეცოპერაცია გრძელდება დამნაშავის დასაკავებლად" Available at:<https://civil.ge/ka/archives/376575> Accessed on: February 7, 2021;

Civil.ge. 2020e. "Georgian Dream Introduces Electoral Reform Bill to Parliament". Available at: [https://civil.ge/archives/342192?fbclid=IwAR0Y1CeaP\\_ST0O05PWGNUb0oTrFD-xYRWYdcvyguQbXceRkWXQ9AQL8sK0](https://civil.ge/archives/342192?fbclid=IwAR0Y1CeaP_ST0O05PWGNUb0oTrFD-xYRWYdcvyguQbXceRkWXQ9AQL8sK0) Accessed on: April 7, 2021;

Georgian Charter of Journalistic Ethics. 2020. "საქართველოს 2020 წლისსაპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა" Available at:[http://mediamonitor.ge/uploads\\_script/accounts/2020-12-18\\_TV\\_NEWS.pdf](http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/2020-12-18_TV_NEWS.pdf) Accessed on: February 7, 2021;

Interpressnews. 2020a. "ირაკლი კობახიძე - პროვოკაციები ყველაზე მეტად მოსალოდნელია ბოლნისში, დმანისში, მარნეულში, ბათუმში, ზუგდიდსა და გლდანში" Available at:<https://www.interpressnews.ge/ka/article/626487-irakli-kobaxize-provokaciebi-qvelaze-metad-mosalodnelia-bolnisshi-dmanisshi-marneulshi-batumshi-zugdidsa-da-gldanshi> Accessed on: February 7, 2021;

Interpressnews. 2020b. "ირმანაშვილი - "ნაცმოძრაობის" მეორე ადგილზე გაყვანით "ოცნება" დაგეგმილ რევოლუციას მიიღებს (R)." Available at:<https://www.interpressnews.ge/ka/article/626420-irmanashvili-nacmozraobis-meore-adgilze-gaqvanit-ocneba-dagegmil-revolucias-miigebis-r> Accessed on: February 7, 2021;

Interpressnews. 2020c. "გიორგი ლომია - "პატრიოტთა ალიანსი" ერთადერთი ძალაა, რომელიც სამართლიანობას ადადგენს (R)" Available at:<https://www.interpressnews.ge/ka/article/626422-giorgi-lomia-patriotta-aliansi-ertaderti-zalaa-romelic-samartlianobas-agadgens-r> Accessed on: February 7, 2021;

## გამოყენებული ლიტერატურა

Interpressnews. 2020d. „ახა ძაგანია - "ნაცმოძრაობის" მმართველობისას ყველაზე მეტი გარდაცვლილი პატიმარი იყო და ამაზე ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია წერდა (R)" Available at:<https://www.interpressnews.ge/ka/article/626425-kaxa-zagania-nacmozraobis-mmartvelobisas-qvelaze-meti-gardacvlili-patimari-iqo-da-amaze-qvela-saertashoriso-organizacia-cerda-r> Accessed on: February 7, 2021;

IRI. 2020. Technical Election Assessment Mission: Georgia 2020 Parliamentary Election". Available at:[https://www.iri.org/sites/default/files/10.28.20\\_georgia\\_pre-election\\_report.pdf](https://www.iri.org/sites/default/files/10.28.20_georgia_pre-election_report.pdf) Accessed on: February 7, 2021;

ISFED. 2020a. "სოციალური მედიის მონიტორინგი. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მესამე შუალედური ანგარიში" Available at:<http://www.isfed.ge/geo/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoring-mesame-shualeduri-angarishi> Accessed on: February 7, 2021;

ISFED. 2020b. "სოციალური მედიის მონიტორინგი - მეორე შუალედური ანგარიში" Available at:<http://www.isfed.ge/geo/angarishebi/201026065446sotsialuri-mediis-monitoring-meore-shualeduri-angarishi> Accessed on: February 7, 2021;

ISFED. 2020c. „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის VI შუალედური ანგარიში.“ Available at:<http://www.isfed.ge/geo/angarishebi/2020-tslis-saparlameto-archevnebis-monitoringis-VI-shualeduri-angarishi> Accessed on: February 7, 2021;

Kakachia, K. and Lebanidze, B.2019. "Georgia's Dangerous Slide Away From Democracy", Carnegie Europe. Available at: <https://carnegieeurope.eu/strategieurope/80542> Accessed on: February 18, 2021;

Klingemann, H., Hofferbert, R. and Budge, I. 1994. Parties, Policies, and Democracy. Westview Press  
McCoy, J., Rahman, T. and Somer, M. 2018. Polarization and the Global Crisis of Democracy: Common Patterns, Dynamics, and Pernicious Consequences for Democratic Polities. American Behavioral Scientist, 62(1), 16-42.

Media Institute. 2020. Monitoring of the Pre and Post-Election Environment. Available at: [https://drive.google.com/file/d/1a3CquRWEQapUYe\\_Gfv0exrOPqfZhGuqo/view?fbclid=IwAR1TIO3hr6TxZejckKk4-5a143wZDv\\_iNL185DS4fXy-BKKVvRQk-re-uQ](https://drive.google.com/file/d/1a3CquRWEQapUYe_Gfv0exrOPqfZhGuqo/view?fbclid=IwAR1TIO3hr6TxZejckKk4-5a143wZDv_iNL185DS4fXy-BKKVvRQk-re-uQ) Accessed on: March 24, 2021;

Mod.gov.ge. 2020. "თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, მოქალაქეებს ფორისსამხედრო ჰოსპიტალისმიმართ სამედიცინოდავალიანება ჩამოეწერებათ." Available at:<https://mod.gov.ge/ge/news/read/7952/tavdacvis-ministris-gadawyvetilebit-moqalaeqees-goris-samxedro-hospitalis-mimart-samedicino-davalianeba-chamoewerebat> Accessed on: February 7,2021;

National Communications Commission. 2020. "კომუნიკაციების კომისიის წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიში". <https://comcom.ge/ge/regulation/broadcasting/elections/saparlameto-archevnebi-2020/komunikaciebis-komisiis-winasaarchevno-mediamonitringis-angarishi.page> Accessed on: February 7,2 021;

NDI Georgia. 2020a. "ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ" Available at:[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20VEAT%20Statement%20Nov%202020%20-%20GEO%20-%20FINAL\\_0.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20VEAT%20Statement%20Nov%202020%20-%20GEO%20-%20FINAL_0.pdf) Accessed on: 8 თებერვალი, 2021;

NDI Georgia. 2020b. "Georgia Election Watch". Available at:[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20-%20Georgia%20Election%20Watch%20Report%20-%20Final%20-%20August%2019%2C%202020%20-%20GEO\\_0.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20-%20Georgia%20Election%20Watch%20Report%20-%20Final%20-%20August%2019%2C%202020%20-%20GEO_0.pdf) Accessed on: Accessed on: 8 თებერვალი, 2021;

## გამოყენებული ლიტერატურა

OSCE/ODIHR. 2020. "INTERIM REPORT 25 September – 10 October 2020". Available at:[https://www.osce.org/files/f/documents/7/9/467364\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/7/9/467364_0.pdf) Accessed on: February 7, 2021.

Public Broadcaster 2020. "პირველი არხის და საქართველოს რადიოს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი" Available at:<https://1tv.ge/news/pirveli-arkhis-da-saqartvelos-radios-winasaarchevno-mediamonitringis-angarishi-pirveli-seqtemberi-30-oqtomberi/?fbclid=IwAR1G3V5py2Y2PvI9iOqVHTdgSYB6ONMqPWGLUZ9m5dm6yClu0G8kAlm5ku4> Accessed on: February 7, 2021.

Transparency International. 2020a. "შენიშვნები ცესკოს დადგენილებასთან დაკავშირებით" Available at:<https://transparency.ge/ge/post/shenishvnebi-ceskos-dadgenilebastan-dakavshirebit> Accessed on: February 7, 2021;

Transparency International. 2020b. "2020 წლისსაპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება." Available at:<https://transparency.ge/ge/post/2020-clis-saparlamento-archevnebis-cinasaarchevno-garemos-ertoblivi-shepaseba> Accessed on: February 7, 2021;

Transparency International. 2020c. "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - შუალედური ანგარიში." Available at:<https://transparency.ge/ge/post/administraciuli-resursebis-gamoqeneba-sakartvelos-parlamentis-2020-clis-archevnebisvis> Accessed on: February 7, 2021;

UNDP. 2020. "Election Media Monitoring Reports 2020". Available at:[https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic\\_governance/elections-media-monitoring.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/elections-media-monitoring.html) Accessed on: February 7, 2021;

**გამოყენებული ინტერვიუები:**

1. ეთნიკურობისა დამულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM). პირადი კომუნიკაცია. 2021 წლის 6 იანვარი;
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TIG). პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 21 დეკემბერი;
3. აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD). პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 23 დეკემბერი;
4. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 24 დეკემბერი;
5. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 28 დეკემბერი;
6. მოქალაქეები. პირადი კომუნიკაცია. 2021 წლის 13 იანვარი;
7. ქართული ოცნება. პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 25 დეკემბერი;
8. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. პირადი კომუნიკაცია. 2021 წლის 12 იანვარი;
9. საქართველოს ლეიბორისტული პარტია. პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 22 დეკემბერი;
10. სტრატეგია აღმაშენებელი. პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 26 დეკემბერი;
11. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პირადი კომუნიკაცია. 2020 წლის 22 დეკემბერი.



## დანართი

**დანართი 1:** მედიასაშუალებები მონიტორინგის ქვეშ:

|                  | რადიო / ტელევიზია  | ონლაინ მედია  |
|------------------|--|---|
| ცენტრალური მედია | საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი<br>TV იმედი<br>რუსთავი 2<br>მთავარი არხი<br>ფორმულა<br>TV პირველი<br>ობიექტივი | ნეტგაზეთი<br>ნიუს.ონ.ჯი<br>პუბლიკა<br>ინტერპრესნიუსი<br>რადიო თავისუფლება<br>ტაბულა<br>ამბები.ჯი<br>პალიტრა ნიუსი |
| რეგიონული მედია  | მარნეულის რადიო  | სამხრეთის კარიბჭე<br>მარნეულის რადიო Web<br>ლაივპრესი<br>მოზაიკა<br>ქართლი.ჯი                                     |

**დანართი 2:** პოლიტიკური პარტიები მონიტორინგის ქვეშ

- ქართული ოცნება - დემოკრატიული ისაქართველო
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ევროპული საქართველო
- ახალი საქართველოსთვის - სტრატეგია აღმაშენებელი
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
- საქართველოს ლეიბორიტული პარტია
- მოძრაობა მოქალაქეები
- ლელო საქართველოსთვის
- გირჩი
- დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო

